ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 29 მაისი, 2013 | №125 (6126) | ფასი: 30 თეთრი

29 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
პიკასო
8 ლარი



ვანო მერაბიშვილს 26 მაისთან დაკავშირებით ბრალი დაუმძიმდა

„2011 წლის 26 მაისს იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ივანე მერაბიშვილის უშუალო დავალებითა და ხელმძღვანელობით დაიგეგმა ახა საპროტესტო აქციის დაშლის ანუ მასში მონაწილე პირების შეჯერების ადგილიდან პროპორციული ძალის გამოყენებით გაძევებისა და გაფანტვისათვის ორგანიზებული ლეგიტიმური ლონისძიება, ახამედ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებზე ფიზიკურ-მასშტაბიანი და განუჩრეველი თავდასხმა, რომლის გამოკვეთილი მიზანი იყო მათი მასობრივი დაჯავება, დაშინება, დასჯა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების განხორციელება".

გვ.3

მეუფე იაკობი: „გვქონდა ინფორმაცია, რომ 17 მაისის აქცია სისხლით უნდა დამთავრებულიყო“

გვ.3

ვის ინტერესებში შედის ეკლესიის ლანძღვა

ირაკლი სესიაშვილი: „ჩვენ არაფერს ვთმობთ“

— გვ. 2 —



გოგა ხაინდრავა: „მერაბიშვილს სახელმწიფო ღალატისთვის მოუწევს პასუხის გაცემა“

გვ.5

მიხეილ მაჭავარიანი: „ქართული ოცნება“ მოსახლეობას პურს ვერ აძლევს და სანახაობას სთავაზობს“

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, „ქართული ოცნება“ მოსახლეობას პურს ვერ აძლევს და სანახაობას სთავაზობს. ამგვარად მიხეილ მაჭავარიანმა ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის დაპატიმრება შეაფასა.

– დღევანდელმა მმართველმა გუნდმა ეს გზა აირჩია და ამით ცდილობს მიმდინარე პროცესების გადაფარვას. როცა ის ვერ აძლევს პურს მოსახლეობას, სანახაობას სთავაზობს. მიმაჩნია, რომ ორი თვით ციხეში ვანოს ფიზიკურად არყოფნა ხელს არ შეუშლიდა გამოძიებას. მინდა მკაფიო ხაზი გავავლოთ: ჩვენ არ ვამბობთ, რომ თუ არსებობს ბრალდებები, არ უნდა ჩატარდეს გამოძიება, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორთვიანი პატიმრობა არ არის სწორი. ძალიან ბევრი სხვა პროცესიც მიმდინარეობს, მაგალითად, ბაჩო ახალაიას სასამართლო და თქვენ ხედავთ, სასწრაფოდ და სახელდახელოდ შეთითხნილი ბრალდებები როგორ იშლება დომინოსავით. ასე მოხდა ნიკა გვარამიაზე, ბაჩო ახალაიაზე, ალექსანდრე ხეთაგურზე და იგივე გამეორდება ვანო მერაბიშვილზეც. ეს არის პრობლემა, თორემ დაჭერა რა პრობლემაა? ყველაფერი მათ ხელშია! – აღნიშნა მაჭავარიანმა.

მედიანიუსი

21 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
პატრიარქები
8 ლარი

ISSN 1987-9385

2 მაია ფანჯიკიძის უწყებამ რუსეთს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა

4 „თავისუფლება 155 ათასი ლარი დამიჯდა“

6 ირინა სარიშვილი: „ჭანტურიას მკვლელობის გამოძიება ბევრს არ აწყობს“

4 დასაქმებული და უმუშევარი ორსულები არათანაბარ პირობებში არიან

ირაკლი სესიაშვილი: „ჩვენ არაფერს ვთმობთ“

ნათია ხურცილავა

დეპუტატი ირაკლი სესიაშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ მორიგი საოკუპაციო ზოლის გადმოწევა ხელს უშლის პროცესის მშვიდობიანად წარმართვას, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი არ ფიქრობს, რომ შეიძლება, რუსეთთან ურთიერთობის ახალი ტაქტიკა შეიცვალოს.

ინტერვიუ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილთან:

– ბატონო ირაკლი, საოკუპაციო ძალების მიერ ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევის ფაქტთან დაკავშირებით პრეზიდენტ სააკაშვილის კომენტარი იყო, რომ ეს მთავრობის ბრალი კი არ არის, რუსული გეგმაა. რას იტყვით, ეთანხმებით?

– ცხადია, ძალიან ცუდ ფაქტს აქვს ადგილი. იმ ფონზე, როდესაც ახალი ხელისუფლება ცდილობს, რუსეთის ფედერაციასთან ცივილიზებული ურთიერთობებით, მოლაპარაკების გზით შეძლოს არსებული უთანხმოების მოგვარება, რუსეთის მხრიდან ასეთი ნაბიჯი, რა თქმა უნდა, დესტრუქციულია და ხელს უშლის პროცესის შემდგომ მშვიდობიანად წარმართვას. ის, რომ ჩვენ სურვილი გამოვთქვით, რუსეთთან დავიწყოთ ნორმალური, ცივილიზებული დიალოგი და თავს ვიკავებთ იმ რიტორიკისგან, რომელსაც შეიძლება რუსეთის პოლიტიკა იმსახურებდეს, დასავლეთის მხრიდან დადებითად არის აღქმული. თავისთავად, რუსეთსაც ეძლევა შანსი, რომ მანაც პოზიტივი შეიტანოს ამ პროცესში. ცხადია, რუსეთის ფედერაციის მიმართ დასავლეთის, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ძალიან დიდი კრიტიკაა, რადგანაც სწორედ რუსეთი არღვევს მუდმივად საერთაშორისო ნორმებს. ამიტომ ვამბობ, რომ სწორედ ამ ფონზე რუსეთსაც უნდა აწყობდეს დიალოგის ცივილიზებულ ფორმაში მოქცევა და პროცესში პოზიტივების შემოტანა. ამ ფონზე, ვიმეორებ, რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯი დესტრუქციულია.

– ხომ არ გამოიწვევს ეს დესტრუქციული ნაბიჯი თქვენი ხელისუფლების მიერ აღებული ტაქტიკის, პოლიტიკის ცვლილებას რუსეთთან მიმართებით?

– ჩვენ, რა თქმა უნდა, გვსურს, რომ ეს არ მოხდეს. ნებისმიერ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის ნორმებში უნდა ჩავჯდეთ ნებისმიერ ქვეყანასთან, მიუხედავად იმისა, რომ ოკუპაციის პირობებში ვიმყოფებით. არ უნდა დავარღვიოთ საერთაშორისო სამართლის ნორმები და უნდა შევძლოთ მშვიდობიანი, ცივილიზებული ფორმებით არსებული პრობლემის მოგვარება. ამ პროცესში აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოების ჩართვა. ამ შემთხვევაში ჩვენი შეშფოთება არ გამოიხატება მხოლოდ სიტყვებით.

– კონკრეტული ქმედება რით გამოიხატება?

– მთელი სახელმწიფო მანქანაა ჩართული იმისთვის, რომ ქვეყანაში მოხდეს როგორც ინფორმაციის დამუშავება, ასევე საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა იმისთვის, რომ რუსეთი ვაიძულოთ, ეს პროცესი შეაჩეროს. ადამიანები ვართ და უნდა მივხედეთ, რომ, სამწუხაროდ, რუსეთი არ იქცევა ამ შემთხვევაში სწორად. ვხედებით, რომ ომის დაწყება არავის სურს და არც შეიძლება, ამაზე ვიფიქროთ.

– არასაპარლამენტო ოპოზიციამ განაცხადა, რომ რუსეთთან ერთგვარი დათმობა, სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა და ა.შ არაფრის მომტანი არ არის და ეს ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს. თქვენი პასუხი როგორია?

– პირველ რიგში, უნდა ვუთხრა მათ, რომ ჩვენ არაფერს ვთმობთ. ეს სასაცილო შეფასებაა. ძალიან მკაფიო ხაზი გვაქვს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, რომელზეც არ გადავდივართ. დიპლომატიური მოქმედება არ არის რაიმეს დათმობა. ის, რასაც ჩვენ რუსეთთან ვცვლით, ურთიერთობის სტრატეგიაა. ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ უარი ვთქვით არაფრისმომცემ, მხოლოდ შეურაცხმყოფელ რიტორიკაზე და საქმეზე გადავედით. შედეგად მივიღეთ ის, რომ რუსეთმა ბაზარი გაგვიხსნა, რაც მნიშვნელოვანი სტიმულია ქართული ეკონომიკისთვის, ჩვენი მოსახლეობისთვის, გლეხებისთვის, რომლებისთვისაც ეს ბაზარი შეიძლება დამატებითი სარჩო იყოს. ეს შედეგი სწორედ ჩვენი ქმედების შედეგად დადგა ახალი სტრატეგიის საფუძველზე. რაც შეეხება ოკუპაციასა და მის შედეგებს, ჩვენ არასდროს მოგვიტყუებია ჩვენი მოსახლეობა, სააკაშვილისგან განსხვავებით, რომ დღეს და ხვალ, ახალ წელს, გიორგობას შევალთ და დავიბრუნებთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს. ჩვენ ღიად ვაცხადებდით ჯერ კიდევ წინასაარჩევნოდ, მიუხედავად იმისა, რომ ამის თქმა არაპოპულარული იყო, რომ პრობლემა სერიოზულია და მარტივად არ მოგვარდება. ჩვენ, მთავარია, სწორი სტრატეგიით ვიმოქმედოთ. სიტყვა „დათმობა“ ამ შემთხვევაში არამცდაარამც არ შეეფერება რეალობას. საუბარია სტრატეგიაზე, რომლის ფარგლებშიც აბსოლუტურად ცივილიზებულად ვიქცევით და შედეგიც უნდა იყოს. სრული მხარდაჭერა აქვს ამ სტრატეგიას დასავლეთის, ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. ისინი პოზიტიურად აფასებენ ჩვენს სტრატეგიას და გვერდშიც გვიდგანან. ამდენად, „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადება ერთგვარი მცდელობაა, რომ თავიანთი უმოქმედობა თავის დროზე და მცდარი პოლიტიკა დაფარონ. მათი მცდარი პოლიტიკის გამო ვართ სწორედ დღეს ასეთ ვითარებაში.

– თქვენი ხელისუფლების სტრატეგიის ფონზე იყო მსგავსი რისკები მოსალოდნელი?

– ჩვენ ამ რისკებს ვითვალისწინებდით. რუსეთის პოლიტიკა ძალიან ფართოა, მით უმეტეს, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე სადავეები სამხედროების ხელშია. სამხედროებს, როგორც წესი, სამოქმედო გეგმა გაწერილი აქვთ და, როგორც ბრძანებას, ისე ასრულებენ ამ გეგმას და შეიძლება, პოლიტიკიდან ამოვარდნილიც არის. იმედი მაქვს, ჩვენ საქმე სწორედ ასეთ მოქმედებასთან გვაქვს.

– თქვენ აცხადებთ, რომ სამხედროების თვითშემოქმედებას აქვს ადგილი?

– არა, არა, ეს არის გაწერილი გეგმის ინერციით შესრულება და არა ის, რომ ეს პოლიტიკა გრძელდება რუსეთის მხრიდან. ამის იმედი მაქვს იმიტომ, რომ გარკვეული პოზიტიური ნიშნები არის ურთიერთობაში. ამ პოზიტიური ნიშნების უგულებელყოფა მნიშვნელოვნად გამოიწვევს რუსეთის იმიჯის დაცემას, რაც მას არ უნდა აწყობდეს. შესაბამისად, მინდა, რომ რუსეთის რეაქცია ადეკვატური იყოს.

– საპარლამენტო უმცირესობიდან გივი თარგამაძე და გიგი წერეთელი იყვნენ ჩასული ადგილზე. როგორც გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, ისიც აპირებს ჩასვლას. მაინტერესებს, ახალი ხელისუფლების მხრიდან რა კონკრეტული ნაბიჯები იქნება გადადგმული ამ ფაქტის წინააღმდეგ. თქვენ რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– ცხადია, ყველაფრის თქმა არ შემიძლია. ცხელი ხაზია ამოქმედებული და უშუალოდ ხდება ადგილზე არაფორმალური მოლაპარაკება რუსეთის მხარესთან. ასევე ჩართულია მთელი დიპლომატიური კორპუსი, რომელიც დასავლეთის ინფორმირებულობას ახდენს და, შესაბამისად, კონკრეტული ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდებს. ყველა რესურსი, რაც კი შეიძლება ამ შემთხვევაში სახელმწიფომ გამოიყენოს, მობილიზებული და მიმართულია.

მაია ფანჯიკიძის უწყებამ რუსეთს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა

ნათია ხურცილავა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ცხინვალის რეგიონში, სოფელ დიცსა და დვანში რუსეთის ფედერაციის მიერ საოკუპაციო ზოლის გადმონევის ფაქტს განცხადებით გამოეხმაურა.

– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს ღრმა შეშფოთებას რუსეთის საოკუპაციო ძალის მხრიდან ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, კერძოდ, სოფელ დიცისა და სოფელ დვანის ტერიტორიაზე მავთულხლართების გავლების გამო, რაც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების, უპირველესად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობისა და 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების უხეშ დარღვევას. გარდა ამისა, აღნიშნული უკანონო ქმედება უგულებელყოფს და ეწინააღმდეგება ოკუპირებულ რეგიონებში და მიმდებარე ზონებში მცხოვრები მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილებისა და სხვა სამოქალაქო, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს. მსგავსი პროვოკაციული ქმედება განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობისა და საერთაშორისო მექანიზმების არარსებობის ფონზე. საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების საოკუპაციო ხაზების გასწვრივ მავთულხლართების გავლების უკანონო პროცესი, შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობები და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები. საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუყოვნებლივ მიაწვდის ინფორმაციას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოს უცხოელ პარტნიორებს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ, რათა მათ მოახდინონ სათანადო რეაგირება ზემოხსენებულ უკანონო ფაქტებთან დაკავშირებით, – ნათქვამია განცხადებაში.

ფანჯიკიძის უწყებამ რუსეთს საპროტესტო ნოტა შვეიცარიის საელჩოს გავლით გაუგზავნა.

– ჩვენ გავაკეთებთ განცხადებას, საპროტესტო ნოტა გაეგზავნება რუსეთის ფედერაციას შვეიცარიის საელჩოს გავლით. ეს იქნება ჩვენი საუბრის თემა, როდესაც ამ კვირაში მე შევხვდები საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს და ეს იქნება ჟენევის მოლაპარაკებების თემა, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძე არ გამორიცხავს, რომ დიცსა და დვინში განვითარებული მოვლენები აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკების საგანიც გახდეს, თუმცა ზურაბ აბაშიძე, პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხებში, მიიჩნევს, რომ ჟენევის ფორმატის დუბლირება არ უნდა მოხდეს.

ვიცე-პრემიერი გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპაციის საზღვარზე მავთულხლართების შემოვლება დიპლომატიური კორპუსის პრეროგატივაშიც შედის და პოლიტიკურმა პირებმა პროცესს ხელი პიარაქციებით არ უნდა შეუშალონ.

– როცა საჭირო იქნება, ხელმძღვანელობასთან და დიპლომატიურ კორპუსთან შეთანხმდებით, საზღვრისპირა სოფლებში ჩავალთ. ჯერ ამის საჭიროება არაა, იქ ვიქნები, სადაც საჭიროა. ამ შემთხვევაში ამოსავალი საგარეო საქმეთა სამინისტროა და ყველა პოლიტიკური პირი მათ მიერ განსაზღვრულ სტრატეგიებს უნდა დაექვემდებაროს, – განაცხადა მარგველაშვილმა.

ვიცე-პრემიერი მიიჩნევს, რომ ეს საკითხი აბაშიძე-კარასინის შეხვედრის თემა იქნება. საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები რუსეთის ფედერაციის მიერ საოკუპაციო ხაზის გადმოწევასთან დაკავშირებით თავიანთ პოზიციას აფიქსირებენ.

გერმანიის ელჩი საქართველოში ორთვინ ჰენინგი რუსი „მესაზღვრეების“ მიერ ე.წ. საზღვრის გადმოწევის საკითხზე ევროკავშირის მისიას გაესაუბრება. ჰენინგი გორის რაიონის სოფელ დიცში პირობითი საზღვრის 300 მეტრით გადმოწევით შეშფოთებულია.

– ეს ფაქტი ძალიან შემაშფოთებელია. მე ევროკავშირის მისიას გავესაუბრები და მათგან მივიღებ ინფორმაციას, მაგრამ, შემიძლია, ვთქვა, რომ არ შეიძლება, საზღვრები თვითნებურად იწეოდეს, – განაცხადა ჰენინგმა.

საქართველოს ორდღიანი ვიზიტით ჟან კლოდ მინიონი ეწვია. სამხრეთკავკასიური ტურნეს ფარგლებში მინიონი ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა, შემდეგ კი ერევანში გაემგზავრება.

ჟან კლოდ მინიონთან შეხვედრის მთავარი თემა, რამდენადაც უკვე ცნობილია, რუსეთის საოკუპაციო ხაზის გადმოწევა იქნება.

ვიზიტის ფარგლებში მინიონი საგარეო საქმეთა და რეინტეგრაციის მინისტრებს შეხვდება. მოლაპარაკებები ასევე გაიმართება პარლამენტის თავმჯდომარესთან.

ჟენევის მოლაპარაკებებში მთავარი განხილვის თემა სწორედ ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევის ფაქტები იქნება, რომელიც სოფელ დიცსა და დვინში დაფიქსირდა.

როგორც ექსპერტები აცხადებენ, ახლა ახალმა ხელისუფლებამ განგაში უნდა ატეხოს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და ყველა საერთაშორისო არენა უნდა გამოიყენოს, რომ რუსეთმა გადმოწეული ზოლი ძველ ნიშნულს დაუბრუნოს.

ევროპის საბჭოში საქართველოს ყოფილი ელჩი მამუკა ჟღენტი მიიჩნევს, რომ რუსეთის მხრიდან საოკუპაციო ხაზის გადმოწევის საკითხი ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე განხილულ უნდა იქნეს.

ჟღენტი სრულად იზიარებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიციას, რომლის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების საკითხები დაფარულია ჟენევის ფორმატით, როდესაც ასეთი რამ ხდება, ეს ნებისმიერ დონეზე განსჯის საგანი უნდა გახდეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ვანო მერაბიშვილს 26 მაისთან დაკავშირებით ბრალი დაუმძიმდა

შორენა მარსაგიშვილი

2011 წლის 26 მაისი საქართველოს ისტორიაში აუცილებლად დაიკავებს თავის ადგილს. ამ დღეს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო სახალხო კრების მიერ ორგანიზებული აქცია. სისხლიანი დარბევები, სამწუხაროდ, მრავლად ვნახეთ ბოლო 24 წლის განმავლობაში. მსგავსი კი არაფერი ყოფილა. 1989 წლის 9 აპრილს როდიონოვის ჯალათებმა ხალხს გასაქცევად ერთი გზა მაინც დაუტოვეს, 2011 წლის 26 მაისს კი ყველა გასასვლელი ჩაკეტეს. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ქართველები საკუთარ სისხლში აბანავეს, მერე სისხლიანი რუსთაველი გადარეცხეს და იქ სამხედრო აღლუმი გამართეს.

2012 წლის 1 ოქტომბრამდე ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სისხლიანი 26 მაისის შემოქმედნი დაისჯებოდნენ. შარშანდელმა არჩევნებმა ქვეყანაში ვითარება რადიკალურად შეცვალა და როგორც ჩანს, დადგა დრო, როცა სამართლიანობა უნდა აღდგეს.

იმ აქციის მონაწილეებს სჯეროდათ, რომ აუცილებლად დადგებოდა დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხი. ბევრმა მათგანმა ჯერ კიდევ გასულ წელს მისცა პროკურატურას ჩვენება. ეს ხალხი სიხარულით შეხვდა ვანო მერაბიშვილის დაკავების ფაქტს. ყოფილი შს მინისტრი სხვა ბრალდებით დააკავეს, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მერაბიშვილს 26 მაისისთვისაც მოჰკითხავდნენ.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ვანო მერაბიშვილს 26 მაისის საქმესთან დაკავშირებით ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. ამასთან დაკავშირებით პროკურატურაში საგანგებო განცხადება გაკეთდა. „ახალი თაობა“ ამ განცხადებას სრულად გთავაზობთ.

– 2013 წლის 18 მაისს, ივანე მერაბიშვილი ცნობილ იქნა ბრალდებულად დამამძიმებელ გარემოებებში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით. ინკრიმინირებული ქმედება ითვალისწინებს ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას. 2011 წლის 26 მაისს იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ივანე მერაბიშვილის უშუალო დავალებითა და ხელმძღვანელობით დაიგეგმა არა საპროტესტო აქციის დაშლის, ანუ მასში მონაწილე პირების შეკრების ადგილიდან პროპორციული ძალის გამოყენებით გაძევებისა და გაფანტვისათვის ორგანიზებული ლეგიტიმური ღონისძიება, არამედ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებზე ფართომასშტაბიანი და განურჩეველი თავდასხმა, რომლის გამოკვეთილი მიზანი იყო მათი მასობრივი დაკავება, დაშინება, დასჯა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების განხორციელება. პოლიციამ წინდაწინ გადაკეტა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, საქართველოს პარლამენტის ყოფილი შენობის, კინოთეატრ „რუსთაველისა“ და სხვა მიმდებარე ქუჩები. დაახლოებით 00 საათსა და 10 წუთზე, პირადად ივანე მერაბიშვილის ბრძანებითა და კონტროლით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა საპირისპიროდ, კერძოდ, მომიტინგეებისათვის ტერიტორიის ნებაყოფლობით დატოვებისათვის აუცილებელი გონივრული ვადის მიცემის გარეშე, მხოლოდ ფორმალური გაფრთხილების შემდეგ, საპოლიციო ქვედანაყოფებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მიტინგის დაშლის ოპერაცია.

წყალსატყორცნი საშუალების გამოყენებისთანავე, არსებითი წინააღმდეგობის გარეშე, მომიტინგეები შეეცადნენ გაქცევას, თუმცა, წინასწარ შეთანხმებული ზემოაღნიშნული გეგმის შესაბამისად, მათ განზრახ არ მიეცათ ტერიტორიიდან უსაფრთხოდ გასვლისა და პოლიციის მოთხოვნის შესრულების შესაძლებლობა. შესაბამისად, ალყაშემორტყმულ მშვიდობიან მოქალაქეებზე ერთდროულად და ინტენსიურად რამდენიმე მიმართულებიდან განხორციელდა რეზინის ხელკეტებითა და ტყვიებით აღჭურვილი პოლიციის რაზმების იერიში როგორც ქუჩაში, ასევე შენობებში, რა დროსაც შეგნებულად გამოყენებულ იქნა გაუმართლებლად არათანაზომიერი და გადაჭარბებული ძალა. შედეგად, გარდაიცვალა ორი (მათი სიკვდილის მიზეზის დასაზუსტებლად გამოძიება გრძელდება), დასახიჩრდა და ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო სამასამდე ადამიანმა. უსაფუძვლოდ დაკავებული იქნა რამდენიმე ათეული პირი. გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ იმჟამინდელმა ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს მოსახლეობის დეზინფორმირებისა და შეცდომაში შეყვანის მიზნით, პოლიციელთა უკანონო ქმედებებზე მოახდინა მხოლოდ თვალთმაქცური რეაგირება. კერძოდ, არსებული ვითარების გაუბრალოებისა და, რაც მთავარია, დანაშაულში ივანე მერაბიშვილისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობის შენიღბვის მიზნით, დისციპლინური წესით მოჩვენებითად დაისაჯა შინაგან საქმეთა სამინისტროს 15 თანამშრომელი, რომელთაგან არც ერთი უშუალოდ არ მონაწილეობდა მიტინგის დაშლაში. მათ შორის, საყურადღებო და ხაზგასასმელია, რომ სამი მათგანი აქციამდე იყო დათხოვნილი შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, – განაცხადეს პროკურატურაში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ „ნაციონალური მოძრაობის“ გენმდივან ვანო მერაბიშვილს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. იგი დასაქმების პროგრამის ფარგლებში ამომრჩეველთა მოსყიდვისა და სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოყენების ბრალდებით არის დაკავებული.

პროკურატურის ცნობით, მერაბიშვილმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164-1, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 332-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები, რაც ბრალის დამტკიცების შემთხვევაში თავისუფლების 7-დან 12 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

ამასთან, პროკურატურის ცნობით, ვანო მერაბიშვილს უახლოეს მომავალში სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით დამატებითი ბრალდება წარედგინება.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. 26 მაისის დარბევაზე პასუხი ალბათ მარტო ვანო მერაბიშვილმა არ უნდა აგოს. საეჭვოა, რომ მას საკუთარი ინიციატივით მოეწყო ეს სასაკლაო რუსთაველზე.

ალბათ ის ხალხიც დაისჯება, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა იმ დარბევაში. განსაკუთრებული როლი ამ საქმეში ზონდერებმა შეასრულეს.

26 მაისის სისხლიან ღამეზე ბევრი რამე დაიწერა და ითქვა. იმ დღეს ხალხმა საშინელება გადაიტანა. საშინელება ამით არ დამთავრებულა. ასეულობით ადამიანი დააპატიმრეს. მათ ციხეში არაადამიანურად ეპყრობოდნენ.

ვანო მერაბიშვილისთვის ბრალის დამძიმების ფაქტს ნაცმოძი ოპერატიულად გამოეხმაურა. დეპუტატი სერგო რატიანი ამბობს, რომ ამჯერად ისინი საქმის ბოლომდე გამოძიებას მოითხოვენ. ამის შესახებ რატიანმა „თაიმერთან“ საუბრისას აღნიშნა.

– ჩვენ ამ თვეების განმავლობაში გვინახავს ბევრი წარდგენილი ბრალი, მაგრამ სასამართლოებზე ეს ბრალდებები იშლება. პრობლემა არის ის, რომ დამატებითი ბრალის წაყენებას პროკურატურა აკეთებს მაშინ, როდესაც წინა ბრალდება არ არის დამტკიცებული და მას უნდა დაკავებული ისევ პატიმრობაში დატოვოს. ამას გარდა, ტყუილია ის, რაც განაცხადა პროკურატურამ, თითქოს არ იყო მიცემული გონივრული ვადა მომიტინგეებისათვის. ასევე ტყუილია, რომ მომიტინგეები იყვნენ მშვიდობიანები, რადგან ისინი იყვნენ შეიარაღებულნი და საკმაოდ აგრესიულად მოქმედებდნენ. შემაძრწუნებელია ის გარემოება, რომ პროკურატურა საუბრობს ორ გარდაცვლილზე, მაშინ, როდესაც პოლიციელი არის დაღუპული. ჩვენ ამჯერად მოვითხოვთ, რომ გამოძიება მიყვანილი იქნას ბოლომდე, – განაცხადა „თაიმერთან“ საუბარში სერგო რატიანმა.

მისივე განმარტებით, ისინი კანონის ფარგლებში როგორც პარლამენტში, ისე პარლამენტს გარეთ პოლიტიკურ ბრძოლას გააგრძელებენ.

სერგო რატიანის თქმითვე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა მათ უარი უთხრა თხოვნაზე, რომელიც ვანო მერაბიშვილთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლის უფლებას შეეხებოდა.

მეუფე იაკობი: „გვქონდა ინფორმაცია, რომ 17 მაისის აქცია სისხლით უნდა დამთავრებულიყო“

შორენა მარსაგიშვილი

ვის ინტერესებში შედის ეკლესიის ლანძღვა

ბოლო წლებში საქართველოში ასეულობით გამოკითხვა ჩატარდა. ამ გამოკითხვების თანახმად, ხალხი ყველაზე მეტად ეკლესიას და პატრიარქს ენდობა. ხალხის მიერ გამოხატული ასეთი მაღალი ნდობა ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს სერიოზულად უშლიდა ნერვებს. ბევრი მათგანი ღიად უპირისპირდებოდა ეკლესიას. მათ ამ საქმეში არასამთავრობოების ნაწილი ედგა გვერდით.

მათმა ქმედებებმა საპირისპირო შედეგი გამოიღო. ეკლესიის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. ეს კი ახალი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელსაც ძალიან უშლის თურმე ნერვებს.

17 მაისს თბილისში გეი-აღლუმი უნდა გამართულიყო. რასაც ეკლესია და საზოგადოების ნაწილი წინ აღუდგა. რუსთაველის გამზირზე საკმაოდ მძიმე მოვლენები დატრიალდა. ამ მოვლენებზე აღარ შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. ამ დღეების მანძილზე მხოლოდ 17 მაისის აქციას განიხილავს ერი და არა მარტო ჩვენი ერი, ევროპა და ამერიკაც კი შეშფოთდნენ.

განსაკუთრებით არასამთავრობები გააქტიურდნენ. მათი ლანძღვის ობიექტი ეკლესია გახდა. პატრიარქმაც აღნიშნა, რომ იმ დღეს სამღვდელოება უზრდელად მოიქცა. პატრიარქის ქორეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა კი აღნიშნა, რომ სასულიერო პირები მზად არიან საერო სასამართლოს წინაშეც წარდგნენ.

ამ განცხადებებმა არასამთავრობო სექტორი არ დააკმაყოფილა. ისინი რამდენიმე სასულიერო პირის დაკავებას ითხოვენ. ერი განსაკუთრებით ტაბურეტიანი მამაოს ნახვამ აღაშფოთა.

არადა, ამ წლებში იმდენი რამე იყო აღსაშფოთებელი, მაგრამ ერი დუმდა. სამწუხაროდ, დუმდა სამღვდელოების ნაწილიც. ტაბურეტით ხელში მორბენალი მამაო მართლა უსიამოვნო სანახავი იყო. შესაძლოა უფლებადამცველებმა სამართლიანადაც გაინერვიულეს თავი. თუმცა მათ ხმაც კი არ ამოუღიათ სააკაშვილის მიერ 26 მაისს დასმულ კითხვაზე.

26 მაისს სააკაშვილი ავღანეთში ქართველ სამხედროებთან იმყოფებოდა. ჩვენ სამხედროებს მან ასეთი კითხვა დაუსვა: რამდენი კაცი მოკალიო. ამას ნორმალურ ქვეყანაში დიდი ამბები მოჰყვებოდა. ჩვენთან კი ერი და არასამთავრობოებიც გაისუსნენ. როგორც ჩანს, მარტო ტაბურეტი იწვევს შეშფოთებას.

ტაბურეტით შეშფოთებული ერის ნაწილს შეუძლია მშვიდად იყოს. საპატრიარქო თავად აპირებს დამნაშავე სასულიერო პირების დასჯას. პასუხისგებისთვის მეუფე იაკობიც მზადაა.

– მადლობა ღმერთს, რომ მაინც ბრბოდ არ იქცა ეს ხალხი. იყო ცალკეული შემთხვევები, ის, ვინც ცუდად მოიქცა, ვთქვათ, თუ სასულიერო პირი იქნება, მივხედავთ, კანონითაც მიეხედება, ჩვენ ხელი არავისთვის არ დაგვიფარებია, მათ შორის ჩემზეც რაღაც მოთხოვნები ჰქონდათ, თუ დაასაბუთებენ და მეკუთვნის, მეც პრობლემა არ მაქვს, რომ თუნდაც მივცე ძიებას საშუალება, იმიტომ, რომ მეც ქართველი ვარ, – განაცხადა მეუფე იაკობმა ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „მთავარ ფაქტორში“.

იმავე გადაცემაში მეუფემ საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა. მისი განცხადებით, არსებობდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ იმ დღეს სისხლი უნდა დაღვრილიყო.

– გვქონდა ინფორმაცია, რომ 17 მაისის აქცია სისხლით უნდა დამთავრებულიყო.

ბოლოსთვის გამოჩნდნენ ნიღბიანი პირები, რომლებიც ე.წ. „არმატურით“ იყვნენ შეიარაღებულნი. ისინი არ იყვნენ ჩვენი მომხრეები. მსურს გითხრათ, რომ მრევლი იმ ადამიანთა შემადგენლობაში იყო შედარებით ნაკლები. ეს იყო ის საზოგადოება, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში დაგროვილი, სამწუხაროდ, ბოღმა ჰქონდა, – განაცხადა პატრიარქის ქორეპისკოპოსმა.

იმ დღეს რომ სისხლი უნდა დაღვრილიყო, ამაზე განცხადება ბევრმა გააკეთა. ურიგო არ იქნებოდა, სამართალდამცავებს კარგად გაერკვიათ, რა მიზანს ემსახურებოდა 17 მაისის აქცია. ისიც გასარკვევია, ვინ და რატომ დაძაბა იქ სიტუაცია ხელოვნურად.

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ სამების ტაძრის არქიმანდრიტს, მამა ანთიმოზ (თამაზ) ბიჩინაშვილსა და იოანე-თორნიკე ერისთავის სახელობის დედათა მონასტრის იღუმენს, მამა იოთამ (ირაკლი) ბასილაიას ბრალი წაუყენეს. ისინი დაკავებული არ არიან. ვიღაცებს ეს ფაქტიც ძალიან აღიზიანებს.

არქიმანდრიტი მამა ანთიმოზ (თამაზ ბიჩინაშვილი) სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება, თუმცა მანამდე მან საქართველოს პატრიარქს შენდობა სთხოვა, – ამის შესახებ „ევერონს“ მამა ანთიმოზ (თამაზ ბიჩინაშვილმა) განუცხადა.

მისი თქმით, პატრიარქისა და არქიმანდრიტის შეხვედრა სამების საკათედრო ტაძარში მოხდა.

– ჩვენი შეხვედრა მოხდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პატრიარქი საქართველოში დაბრუნდა და სამების ტაძარში წირვა-ლოცვა აღავლინა. მე კურთხევა ვითხოვე და პატრიარქს შენდობა ვთხოვე. ამ ეტაპზე სასამართლოს გადაწყვეტილებას ველოდები, ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო, – განუცხადა „ევერონს“ სამების ტაძრის არქიმანდრიტმა მამა ანთომოზმა.

მთავარ პროკურატურას სასულიერო პირთა მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოსთვის ამ დრომდე არ მიუმართავს.

– პროკურატურას ამ ეტაპზე ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, რა სახის შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, ამასთანავე, შესაძლებელია პროკურატურამ სასამართლოს არც მიმართოს და საგამოძიებო მოქმედებებით კანონით მინიჭებული უფლება თავადვე გამოიყენოს. გამოძიებას აქვს უფლება, თვითონ შეარჩიოს პირისათვის სასჯელის ზომა, ანუ სასჯელის რა სახის ფორმას გამოიყენებს და არ არის აუცილებელი, აღმკვეთი ღონისძიება შეეფარდოს ყველას, თუ ამას არ ჩათვლის საჭიროდ გამოძიება, – აცხადებს მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან სამსახურის უფროსი ხათუნა პაიჭაძე.

„თავისუფლება 155 ათასი ლარი დამიჯდა“

გულიკო ბალაძე

სააკაშვილის ხელიმის პირობებში ბიზნესმენების გაპოტრების ფაქტები ჩვეულებრივი ამბავი იყო. ბიზნესმენი ვაჟა ბექაური ამბობს, რომ მას ფინანსური პოლიცია დევნიდა და ვერაფრით შეძლო თავისი სიმართლის დამტკიცება. ამიტომ მთელი ქონება დაკარგა.

ინტერვიუ ბიზნესმენ ვაჟა ბექაურთან

– ბატონო ვაჟა, როგორც ვიცი, სააკაშვილის რეჟიმი გდევნიდათ. მოგვიყევით თქვენი დევნის ისტორია.

– ეგონათ, ძალიან ბევრი ფული მქონდა და ფინანსურმა პოლიციამ უსაფუძვლოდ დამიწყო დევნა. გადასახადი წინმსწრებად მქონდა გადახდილი, მაგრამ მეუბნებოდნენ, გადასახდელი გაქვსო. ვერ დავუმტკიცე, მართალი რომ ვიყავი.

– დოკუმენტები არ გქონდათ?

– დოკუმენტები მქონდა. ჩაბარების აქტები წარვუდგინე, მაგრამ განა უყურებდა ან გისმენდა ვინმე. უბედურება ეგ იყო.

– რა ფირმა გქონდათ?

– შპს „ბირთვისი“. 1992-95 წლებში თურქმენეთში ვმუშაობდი. მანამდე აქ ვიყავი საშენ მასალათა კომბინატის დირექტორი. როდესაც ქვეყანა აირია და უმუშევარი დარჩა ხალხი, ყველა თვალებში შემომცქეროდა. შიმშილობა იყო, პური არ იშოვებოდა. ამიტომ მე და ჩვენი მინისტრის მოადგილე გურამ ქორქაშვილი თურქმენეთში წავედით. იქ სიტუაციას რომ გადავხედეთ, გურამ ქორქაშვილი მეორედ აღარ გამომყვა. მე იქ მუშები მყავდა უმუშევრად დარჩენილი და მათი ოჯახების მიმართ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. ყოველდღე მეკითხებოდნენ, სამუშაო თუ გამოჩნდაო, ამიტომ გავრისკე. ყოველ 3 თვეში ერთხელ 1000 კაცი მიმყავდა აშხაბადსა და მარლსში სამშენებლო სამუშაოებზე. იქ საშინელი პრობლემები დაგვხვდა. მანათზე გვქონდა ხელშეკრულება. მანათი გაუფასურდა. თანხას ვალუტაში აღარ მაძლევდნენ და ხალხის წაყვან-წამოყვანა პრობლემა გამიხდა. საქართველოში თუ რამე მქონდა (42 მანქანა მყავდა, სატვირთო მანქანები, ტრაქტორები, ექსკავატორები), ყველაფერი გავყიდე. თურქმენეთიდან ის ხალხი ვალით ჩამოვიყვანე. ალბათ, გახსოვთ, საქართველოს თურქმენეთის გაზის ვალი რომ ჰქონდა, გაზი გაგვითიშეს თურქმენებმა. მაშინ მე იქ ვიყავი და გაზის ვალში ჩემი ფული გადავრიცხე. პრემიერ-მინისტრის მოადგილე ზურაბ კერვალიშვილს ტელეფონით ვესაუბრებოდი. იქ გიორგი უჩოვსოვი იყო ვიცე-პრეზიდენტი. მათთან შეთანხმებით იქ ასაღები ფული თურქმენეთში დავტოვე, რომ საქართველოში გაზი წამოსულიყო. მეგონა, აქ დიდის ამბით დამხვდებოდნენ. აეროპორტში ჰალსტუხს ვისწორებდი, ვაითუ, ჟურნალისტები დამხვდნენ და ზედმეტი არ ველაპარაკო, თავმდაბლობა გამოვიჩინო-მეთქი, მაგრამ, რომ ჩამოვედი, 6 თვე მატარეს. თუ რამე მქონდა, ყველაფერი გავყიდე. ჩემს მთავარ ბუღალტერს, ჩემს მთავარ ინჟინერს, მოადგილეს საკუთარი მანქანები გავაყიდვინე, რომ მუშებისთვის ხელფასები მიმეცა და იქიდან გამომეყვანა. არც ერთისთვის კაპიკი არ დამიკლია. ამათ იქ ვალი გადამახდევინეს, მე კიდევ არაფერი.

– წალკაშიც ხომ გქონდათ ბიზნესი და პრობლემები?

– ამის შემდეგ წალკაში სოფელი მქონდა აღებული. იქ ვმუშაობდი, ვხნავდი, ვთესავდი და სამი წლის განმავლობაში წიწიბურა მომყავდა. წიწიბურა საქართველოში პირველმა მე მოვიყვანე.

– საქართველოში წიწიბურა მოდის?

– წიწიბურას თავისებური პირობები (სიმაღლე) უნდა, მაგრამ მოდის. უამრავი ლიტერატურა მაქვს წაკითხული. წალკაში, მთიანეთში, მანგლისსა და თეთრიწყაროში (დაახლოებით 1400-1500 მეტრამდე სიმაღლეზე) წიწიბურას კარგი მოსავალი მოდის. დაბლა ზონებში ადრე, საბჭოთა კავშირის დროს, სოფელ თელეთში უცდიათ მოყვანა, დაუთესავთ და მოსავალი



ვერ მიულიათ. წიწიბურას 30 გრადუსს ზემოთ სითბო არ უხდება. თავისებური პირობები უნდა. გაჭირვებაში ჩავვარდი და გადამამუშავებელი აგრეგატი ვეღარ ვიყიდე. იქნებ ვიღაც დამეხმაროს-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

პირველად წიწიბურას თვითღირებულება ჯდებოდა 45 თეთრი, ხოლო შემდეგში – 26-27 თეთრი. სუფთა პროდუქტი იყო. ერთი იაპონელი ბიზნესმენი მეუბნებოდა, შენ თუ ამას გადაამუშავებ, იაპონიაში წავიღებო. გადამამუშავებელი საამქროს გაკეთება ვეღარ შევძელი. ბოლოს მომადგნენ გადასახადებზე, რომელიც გადახდილი მქონდა, მაგრამ სიმართლე ვერაფრით დავუმტკიცე და მიჭერდნენ.

– თქვენ ცნობილი ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილი გიცავდათ. როგორ ვერ შეძლო თქვენი დაცვა?

– ქართლოს ღარიბაშვილი პრეზიდენტობაზე იყრიდა კენჭს, თან ვიცნობდი, ჩემი მეგობარი სოფლიდანაა. ქართლოს ღარიბაშვილმა მითხრა, მართალი ხარო.

– რამდენს გთხოვდნენ?

– საფინანსო სამსახური საპროცესო შეთანხმებაში 40 ათას ლარს მთხოვდა. ქართლოსმა გაცილებით ნაკლები მომთხოვა. მეც ხომ დარწმუნებული გახლდით, მართალი ვიყავი, აგერ, ადვოკატმაც ნახა ჩემი საქმე და მითხრა, მართალი ხარო, ამიტომ მივეცი ფული, მაგრამ, როგორც თქვენ არ დამხმარებიხართ, ისე – ის. იძულებული გავხდი, დამეტოვებინა საქართველო. შემდეგ 155 ათასი ლარი დამიჯდა, პირობითი მომცეს. ამ დროს გამახსენდა ერთი ამბავი. ბავშვობაში მამაჩემს დაუმსახურებელი პრობლემები ჰქონდა – ტყუილუბრალოდ ადამიანის მკვლელობა დასწამეს. ეს ისეთი დანაშაული იყო, რომ 15 წელს ან დახვრეტას უსჯიდნენ. ბიძაჩემის დახმარებით, რომელიც თბილისში ცნობილ პირებს იცნობდა, ცნობილი ადვოკატი ვახტანგ ყურაშვილი აიყვანეს. ყოფილი იუსტიციის მინისტრი, ახალგაზრდა, უნიჭიერესი და მართალი კაცი იყო. მამაჩემის პირველ სასამართლოზე ჰონორარი მივეცით. ოჯახში ბევრი არაფერი გვქონდა. სასამართლოზე ნათესავები რომ მოვიდნენ, ფული შეკრიბეს, ზოგმა 3, ზოგმა 4, 5, 20 მანეთი დადო. ფული შევკრიბეთ და ადვოკატს მივეცით, მამაჩემს დახვრეტა რომ გამოუტანეს, მოსკოვში უნდა გადაფრენილიყო. მაშინ ყველაფერი მოსკოვში წყდებოდა. 4 წელი მიდიოდა მამაჩემის საქმის გამოძიება და სასამართლო. მოხდა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, ხელმეორედ დაბრუნება გამოძიებაში. მამაჩემი იმდენად მართალი კაცი იყო, რომ ძალიან ძნელი იყო მისი დასჯა, მაგრამ ვერც ათავისუფლებდნენ. როგორც ახლა, მაშინაც პროკურორი აცხადებდა, რომ გადაწყვეტილება სწორი იყო. უკან აღარ იხევდნენ, პარტიული კომიტეტი სთხოვდა დანაშაულის გახსნას და მამაჩემი იძულებით შერჩათ. ვერაფრით გაათავისუფლეს.

– მოკლულს იცნობდა?

– იცნობდა, მეზობელი სოფლიდან იყო, ქალი. ერთად იმგზავრეს და ის იქით წავიდა, ეს – აქეთ, მაგრამ სხვა რომ ვერავინ დაიჭირეს, მამაჩემი დააპატიმრეს. ახლა კი აქვთ ეჭვი, ვინ იქნებოდა. მამაჩემი ისეთი პიროვნება იყო, ქათმის დაკვლა არ შეეძლო. ქათამს დედაჩემი კლავდა ხოლმე. ადვოკატმა 4 წელი სდია მამაჩემის საქმეს. მოსკოვში მიდი-მოდიოდა. აქ გამოუტანდნენ დახვრეტას, მოსკოვში წავიდოდა, დაეშლევინებდა, ისინი 15 წელს გამოუტანდნენ, შემდეგ ესენი გაასაჩივრებდნენ. 1964 წელს საბოლოოდ 15 წელი მიუსაჯეს. სანამ მიუსჯიდნენ, ადვოკატმა გვითხრა, აღარ ინერვიულოთ, აღარაფერი ეშველება, 15 წელს მიუსჯიან და მალე გამოვაო. თითქოს ამით დაგვამშვიდა. საინტერესო ის იყო, რომ ეს კაცი 4 წელიწადი მამაჩემს იცავდა, მოსკოვში სასამართლოებზე დადიოდა, მაგრამ რომ შეგვხედა, ოჯახში გვიჭირდა, ოთხი წლის წინ მიცემული ფული უკლებლივ დაგვიბრუნა, რადგან ვერ გავამართლე, ეს ფული არ შემიძლია ავიღოო. სიკვდილს ხომ მაინც გადაარჩინა. ფული მაინც არ აიღო. ასეთი კაცი იყო ადვოკატი ვახტანგ ყურაშვილი.

– ქართლოს ღარიბაშვილმაც დაგიბრუნათ ფული?

– არა. ქართლოს ღარიბაშვილს, ცამდე მართალი რომ ვიყავი, ერთხელაც არ მოვუკითხივარ, ერთხელ არ დაურეკავს, როგორ ხარო. უნებურად გამახსენდა ადვოკატ ვახტანგ ყურაშვილის დიდი ადამიანობა და ქართლოს ღარიბაშვილის არაკაცობა. დიდად მადლობელი ვარ ვახტანგ ყურაშვილის.

– ახლა 2-3 ათასის მისჯა უკვირთ.

– 20 ათასი გადამახდევინეს საპროცესო გარიგებაში, ხოლო 135 ათასი ბიუჯეტში შემატანინეს და კიდეც გავკოტრდი.

– ფული ნამდვილად ბიუჯეტში შეიტანეთ?

– არ ვიცი. მგონი, ბიუჯეტში შევიტანე. ფინანსთა სამინისტროში რომ უნდა მივსულიყავით, ანგარიშები პროკურატურაში იდო. ვიცი, რომ ფული პროკურატურის ანგარიშზე შევიტანე.

– ანუ საკაკაშვილის პირობებში დაკარგეთ ყველაფერი?

– საკაკაშვილის პირობებში დავკარგე, თორემ შევარდნაძის შედარება საკაკაშვილთან არ შეიძლება. ამის შემდეგ თავი დამანებეს, მაგრამ ვეღარაფრის გაკეთება ვეღარ გავრისკე, გავიყინე. ისეთ დეპრესიაში ჩამაგდეს, რომ არაფრის გაკეთების სურვილი აღარ მაქვს. ნაციონალები კიდევ რომ გამოდიან და ბიძინა ივანიშვილზე რაღაცებს იძახიან, ლამის ტელევიზორს ვეცე და გამოვგლიჯო. შევარდნაძე ბევრად ლოიალური იყო.

– ამას ამბობთ, მიუხედავად იმისა, რომ თურქმენეთის გაზის ფული გადაგახდევინათ და აღარ დაგიბრუნათ?

– მახსოვს, ერთხელ შევარდნაძესთან რომ ვიყავი, ჩემთან ერთად ვაღერი ასათიანს აღელვებულმა უთხრა, ბოლოს და ბოლოს, ამ კაცს თუ უხდით ფულს, გადაუხადეთ, თუ არადა, ნუღარ ატყუებთ მაინცო. 2007 წელს რომ ჩამოვედი, ადეი შვილთან მინდოდა შესვლა, მაგრამ მითხრეს, ეს ყველაფერი ადეი შვილისაგან მოდისო. მართლა მისგან მოდიოდა ყველაფერი. გამაკოტრეს. ახლა მთავარია, ახალი არჩევნები ჩატარდეს, რომ ნაციონალები საერთოდ წავიდნენ პოლიტიკიდან.

დასაქმებული და უმუშევარი ორსულები არათანაბარ პირობებში არიან

მერი ნამორაძე

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ირწმუნებიან, რომ შრომის კოდექსის ავტორებს ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამორჩათ, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული. საქმე ისევ ქალბატონებს და მათ შვებულების ანაზღაურების საკითხს ეხება ორსულობის პერიოდში. როგორც ორგანიზაციის „ახალგაზრდა ადვოკატები“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მარიკა არევაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, დღევანდელი პროექტი არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს დასაქმებულს საჯარო სამსახურში დასაქმებულ მოსამსახურესთან შედარებით. „ახალი თაობა“ მარიკა არევაძეს ესაუბრა:

– კონკრეტულად რა გამორჩათ ჩვენს კანონმდებლებს ახალ კანონპროექტში?

– შრომის კოდექსის კანონპროექტი ახლებურად აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა შრომითი ხელშეკრულების დადება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები, შრომითი ხელშეკრულების მოშლა, კოლექტიური ხელშეკრულება და დავის განხილვისა და გადაწყვეტის წესი. თუმცა, კანონპროექტის ინიციატორებს მხედველობის მიღმა დარჩათ არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე სხალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების საკითხს ეხება. ორგანიზაციის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობით ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებები ანაზღაურებადია, დამსაქმებელი და დასაქმებული არ არიან კანონით შებოჭილნი შეთანხმდნენ დამატებით ანაზღაურებაზეც. პრობლემა დგას „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/ნ ბრძანების პრაქტიკულა ამოქმედებაში, რომლითაც რეგულირდება საჯარო მოსამსახურეებისა და დასაქმებულთათვის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარებისა და კომპენსაციის დანიშვნის, გაანგარიშებისა და გაცემის საკითხი. აღნიშნული ბრძანების თანახმად, თითოეულ დასაქმებულს ორსულობის, მშობიარობის თუ ბავშვის შვილად აყვანის გამო შვებულებაში ყოფნის პერიოდში ჯამურად ოთხი თვის პერიოდზე, მიუხედავად შრომის ანაზღაურებისა ანუ ხელფასის ოდენობისა, ეძლევა 600 ლარი. ეს ბრძანება არათანაბარ პირობებში აყენებს დასაქმებულს საჯარო სამსახურში დასაქმებულ მოსამსახურესთან შედარებით, ვინაიდან, ამავე ბრძანებისა და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე მოსამსახურეს დახმარებასთან ერთად ეძლევა კომპენსაცია შვებულებაში ყოფნის პერიოდში მისაღები შრომითი გასამრჯელოს სრულ ოდენობამდე შესავსებად. არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ასევე თავად დასაქმებულებს, რადგან განურჩევლად მათი ხელფასის ოდენობისა, გასაცემი დახმარების ზედა ზღვარი არ იზრდება და ეს ყველაფერი ქვეყანაში ხელს უწყობს ისედაც მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმებას.

– თქვენი რეკომენდაცია როგორია ხელისუფლების მიმართ?

– ჩვენ რეკომენდაციით მივმართავთ პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, რათა მოხდეს შრომის კოდექსის კანონპროექტში აღნიშნული საკითხის გათვალისწინება. მიგვაჩნია, რომ კოდექსში ჩანაწერი შემდეგნაირად უნდა შეიცვალოს: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებები ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაგრამ შვებულებაში ყოფნის პერიოდში ყოველთვიურად არანაკლებ დასაქმებულის შრომის ანაზღაურების 60%-ის ოდენობით. დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით ანაზღაურებაზე.

– თუ საკანონმდებლო ორგანო თქვენს ინიციატივას გაითვალისწინებს, რამდენად ექნება ბიუჯეტს იმის შესაძლებლობა, რომ ამ წესით გასცეს

საშვებულებო ანაზღაურება?

– ჩვენ სწორედ იმიტომ ვახსენეთ 60 პროცენტი და არა 100 პროცენტი, რომ შევდივართ ქვეყნის მდგომარეობაში და ვითვალისწინებთ, რომ არ აქვს ბევრი თანხა ბიუჯეტს. შესაბამისად, გვსურს, რომ საწყისი ეტაპი იყოს არანაკლები 60 პროცენტის ოდენობისა, ხოლო შემდეგ, როცა ქვეყანა წინ წავა და ეკონომიკურად განვითარდება, გაიზარდოს ეს თანხა, ჩვენ ვსაუბრობთ მინიმალურ ზღვარზე, ამაზე ნაკლები არ უნდა იყოს. რა თქმა უნდა, პრიორიტეტია ქვეყნის ბიუჯეტი, მაგრამ გარდა ბიუჯეტისა, პრიორიტეტულია დემოგრაფიული ფონდი და დასაქმებულთა უფლებები.

– თქვენ რამდენად იზიარებთ დემოგრაფთა იდეას იმასთან დაკავშირებით, რომ დასაქმებული და დაუსაქმებელი ორსული ქალები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან და თანხები, საარსებო მინიმუმის 40% მაინც, დაუსაქმებელ ორსულებზეც უნდა გაიცეს?

– თუ რაიმე აქტივობა იქნება ორსული ქალების წასახალისებლად, ამას მივესალმებით, მაგრამ შრომის კოდექსი დასაქმებულთა უფლებებს ეხება და თუ არ იქნება შრომითი უფლების მქონე ქალი, ვერ მოექცევა შრომითი უფლების რეგულირების სფეროში.

– დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით რა იტყვით, უნდა შეიცვალოს კანონპროექტში რაიმე ამ კუთხით?

– დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა ამ ეტაპზე 4 თვე არის ანაზღაურებადი, მომდევნო ერთი წელი კი ანაზღაურების გარეშე. შესაცვლელი, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრია, მაგრამ პირველ ეტაპზე საჭიროა საწყისი ნაბიჯების გადადგმა. თუ რამდენ ხანს არის სასურველი დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა, ამას ზეპირად ვერ გეტყვით, ეს უნდა იყოს დაფუძნებული კვლევებზე, რომლის ჩატარებასაც მომავალში ვგეგმავთ.

გოგა ხაინდრავა: „მერაბიშვილს სახელმწიფო ღალატისთვის მოუწევს პასუხის გაცემა“



ნონა ცაბაძე

ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან

– ბატონო გოგა, რუსეთი ნელ-ნელა მოიწევს ჩვენი ტერიტორიისკენ. როგორ შეაფასებდით მომხდარს?

– მცოცავი ანექსია და მცოცავი ოკუპაცია, ეს რუსეთის სტილია ოდითგანვე. ამიტომ დიდი ცოდნა არ სჭირდება ამას, რომ მიხვდე, ყოველთვის და ამ მიმართულებით მოქმედებდა. უბრალოდ, ადრე ეს ყველაფერი იმალებოდა და ზღაპრებს გვიყვებოდნენ სააკაშვილის მესვეურები. თორემ საზღვარი ხევსურეთთან მიმართებაში, დაღესტანთან, აზერბაიჯანთან და ბევრი მიმართულებით იცვლება. ეს თავხედობა, რასაც რუსები სჩადიან ამ დღეებში, განსაკუთრებულია იმიტომ, რომ ამას ცინიკურად აკეთებენ მთელი მსოფლიოს დასანახად, იმიტომ, რომ ის ევროპელი დამკვირვებლები იქ დგანან და ხედავენ, როგორ საზღვარს ქმნიან რუსი სამხედროები. ამაზე მეტი თავხედობა 21-ე საუკუნეში პოლიტიკურ ასპარეზზე რა უნდა იყოს?! მაგრამ ძლიერებს გასდით, რა! მარტო ბოკერიას და რურუას დონის პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ რუსეთი ძლიერი ქვეყანა არ არის და სადაცაა დაიშლება. სამწუხაროდ, იმის ძალა ყოფნის, რომ ჩვენთან ითავხედოს და თავხედობს კიდეც. ეს არის პოლიტიკური თავხედობა მთელი მსოფლიოს დასანახად.

– თუ დევს ამაში პროვოკაციული ნიშნები?

– პუტინის ხელისუფლებას ყოველთვის სჭირდებოდა სატელიტი სააკაშვილი და მისი საქართველოში ყოფნა. მერაბიშვილზე აღარ ვლაპარაკობ, პირდაპირ მათი რეზიდენტი იყო და, რა თქმა უნდა, ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურების დაკარგვაზე პასუხს გვაძლევენ, ეს ნათელიც იყო. იმიტომ იყო ასეთი არხეინი და ფშტვენა-ფშტვენით მიდიოდა პროკურატურისკენ მერაბიშვილი, მაგრამ სხვა დროა, სხვა საზოგადოებრივი განწყობაა. საქართველო სხვა საფეხურზე ავიდა თავისი განვითარების და უკანასკნელი მოვლენები ამას მშვენივრად აჩვენებენ ევროპაშიც და საქართველოშიც. იმასაც აჩვენებენ, რომ ეს აბსოლუტურად დესტრუქციული გუნდი, გონებაზე გადასული სექტაა, რომელიც არაფერზე იხევს უკან, ოღონდაც საკუთარ ქვეყანას ავნოს. მათი ნაწილი არის მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი, ნაწილი უბრალოდ საცოდავ მდგომარეობაში მყოფი, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანები არიან. ამიტომ, ახლა ზოგს მოფერება დასჭირდება, ზოგს მკურნალობა და ზოგი სასჯელს მოიხდის ისე, როგორც დაიმსახურა.

– ისევ საზღვრის თემას რომ დავუბრუნდეთ, რამდენად მოხდება უკან გადაწევა, თუ ეს შეუძლებელია?

– არა, შეუძლებელია არაფერი არ არის, ამას ძალიან მტკიცე პოზიცია უნდა საქართველოს ხელისუფლების, რაშიც მე ვფიქრობ, რომ ამის პოტენციალი დღევანდელ ხელისუფლებას გააჩნია, ყოველ შემთხვევაში, მის ხელმძღვანელს, ბიძინა ივანიშვილს. კორექტული, მაგრამ ძალიან მტკიცე, რუსეთს უნდა ესმოდეს, რომ არანაირი მოლაპარაკების ფონზე, ქართული მიწების დათმობა არ იქნება. არ გაგრძელდება არავითარ შემთხვევაში არაფრის ფასად. ეს არის ეტაპი, როდესაც ეს უნდა დაადასტურო და მე ღრმად მჯერა, რომ ახალი ხელისუფლება ამას დაადასტურებს. გასაგებია, რომ ჩვენ გვინდა ელემენტარულად ურთიერთობის მოწესრიგება რუსეთთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ რამე დათმობაზე წავალთ. დასათმობი აღარაფერი აღარა გვაქვს.

– ბატონო გოგა, თქვენ მიხეილ სააკაშვილი ახსენეთ და არ შემიძლია აქვე არ გკითხოთ, მისი ავღანეთში ვიზიტის შესახებ, ვნახეთ სიუჟეტი, სადაც ის ესაუბრება ჯარისკაცებს და ეკითხება თუ რამდენი კაცი ჰყავთ მოკლული... ამას დიდი გამოხმაურება მოყვა და რამდენად სახიფათოა ეს ყველაფერი?

– ეს არის მძიმედ ავადმყოფი კაცი და ჩვენი ბედის უკუღმართობაა, რომ ამ ადამიანს სახელმწიფო სადავეები უპყრია ხელთ და აი, ასე, თვითდინებაზე, თავისი ამერიკელი რუბიორების დახმარებით, რომლებიც სააკაშვილისადმი ამ დამოკიდებულებას ძალიან ინანებენ, როდესაც მალე არჩევნების დრო მოვა. რამდენიმე თვეში გახდება ნათელი, რომ ეს იყო გახრწნილი, დეგრადირებული, კრიმინალური რეჟიმი, რომელსაც შიზოფრენილი ადამიანი ედგა სათავეში. ძალიან მალე გახდება ნათელი ყველასთვის. სააკაშვილი სად ჩადის და რას სჩადის, ამას მთელი საქართველო ხედავს, ეს არის ცოდვის ტირილი.

– ბატონო გოგა, ეს რამდენად სახიფათოა ქვეყნისთვის?

– სახიფათოა ძალიან. ამერიკისთვისაც სახიფათოა, იქ არსებული კოალიციისთვისაც ძალიან სახიფათოა, იმიტომ, რომ თალიბებს არ სძინავთ. თალიბები და ათასი რჯულის ექსტრემისტები და ტერორისტები ამას ყველაფერს უყურებენ, ყველაფერი ეს იციან. ეს თავდასხმა ქართულ ბაზაზე ტყუილად კი არ მოხდა. რაღა ქართველები აირჩიეს? მაგრამ იმდენი იარა იქ და იმდენი იტლიკინა ამ ფაციკუკუმ, ამ ტაკიმასხარამ, რომ ბოლო-ბოლო გამოიწვია ის, რომ თავდასხმა მოაწყვეს თალიბებმა ქართულ ბაზაზე. ღმერთმა დაიფაროს და ახლა მეორე თავდასხმა რომ მოხდეს? რა ვუყოთ, ეს არის ტაკიმასხარა. ეს ყველასთვის სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ყველაზე მეტად ამაზე ამერიკელები უნდა დარდობდნენ. იმიტომ, რომ ამერიკელების ინტერესებს აყენებს ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ თავისი მოქმედებით. დარწმუნებული ვარ, რომ შიგნით ბობოქრობს ამერიკის მეორე საფეხურის სამხედრო თუ პოლიტიკური ხელმძღვანელობა იმასთან დაკავშირებით რასაც სჩადის სააკაშვილი. ყოველდღიურად ლაფს ასხამს თავზე და იძულებულები არიან ეს შიზოფრენიკი დაიცვან იმიტომ, რომ რატომღაც დემოკრატიის შუქურა დაარქვა ბუშმა და ახლა იხტიბარს აღარ იტეხენ. თუმცა ეს როდემდე უნდა გაგრძელდეს? კაცი არის დასაბმელი გიჟი.

– საუბარია, რომ ამ ბოლო პერიოდში აბსოლუტურად უკონტროლო და არაადეკვატურიაო...

– როდის იყო ადეკვატური? დიდი ხნის წინ, თქვენს გაზეთში მაქვს ინტერვიუ მიცემული ცნობილ მოთხრობასთან დაკავშირებით – შიშველი მეფე. უბრალოდ, ბავშვმა დაინახა, რომ მეფე დიდი ხანია შიშველია, საზოგადოება გამოფხიზლდა იმ ძილბურანიდან, რომელშიც იყო. ეს დიდი ხანია ცნობილია. უბრალოდ, ესაა სამარცხვინო აღსასრული ვითომდა ოდესღაც მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაციის, რომლის თავი და ტანი იყო სააკაშვილი და მისი ხერხემალი იყო მერაბიშვილი. ახლა უხერხემლოდ დარჩენილი სააკაშვილი რა მდგომარეობაშია წარმოიდგინეთ, ხერხემალი აღარ არის.

– საუბარია, რომ აღარ დარჩა დიდი დრო ოქტომბრამდეო, მაგრამ სააკაშვილის პირობებში ეს ალბათ დიდი დროა...

– არ არის ეს დიდი დრო. მაგათთვის გაჩერდა დრო, თორემ ის ვინც მომავალზე ფიქრობს, ის წინ მიდის. ხომ არ შეიძლება სულ გუშინწინდელ დღეში დარჩენა, რომელშიც ელექტრონული პრესის უმრავლესობაა საქართველოში. რატომღაც ასეთი ზნე და მოდაა. თორემ გუშინწინდელი დღეა სააკაშვილიც, ნაციონალური მოძრაობაც, მერაბიშვილიც. რაღა დროის მაგათზე ლაპარაკია. ჩვენ მომავალს უნდა ვუყურებდეთ და იმაზე ვფიქრობდეთ, როგორ გავუმკლავდეთ რუსეთის ასეთ გამოხტომებს, როგორ გავუმკლავდეთ ეკონომიკურ პრობლემებს, რომელიც ჩვენ წინაშეა და მრავალ სხვას. რა დროს ნაციონალებზე ფიქრი და ლაპარაკია?! არადა, სხვა არაფერი არ ხდება. ესენიც მაგიტომ ცოცხლობენ. ერთი სამი დღე, ოთხი დღე, რომ შეჩერდეს ყველა საინფორმაციო საშუალებებში ნაციონალების ხსენება, მერე არავის არც გაახსენდება, საერთოდ არსებობენ თუ არა. დღეს მათი ჟანგბადია პრესა, ეს ასულდგმულებთ. ასულდგმულონ და იყვნენ, თუ ჰგონიათ, რომ ამით თავისი მკითხველის და მაყურებლის გულებს იგებენ, ძალიან ცდებიან. მოვლენ ახალი მაუწყებლობები, რომლებიც შეჭამენ ამათ და ეგრეც იქნება. დამოუკიდებლად მოაზროვნე, თანამედროვე ხედვის და არა გუშინწინ დღეში ჩარჩენილების, რომლებსაც აინტერესებთ თამარ ჩერგოლეიშვილი რას წერს საკუთარ ფეისბუქის გვერდზე.

– სამართლიანობის აღდგენა დაიწყოო და იზეიმებს ამას ხალხი, მართლაც მოეთხოვება ყველა დამნაშავეს პასუხი?

– ჩემო კარგებო, ჯერ 7 თვე გავიდა. სამართალი ერთ დღეში ხომ ვერ აღდგებოდა? ჩვენ თუ მერაბიშვილის სამართალი გვინდა, კაცს რომ დილას იჭერდნენ, შუადღეს ოც წელს უსჯიდნენ, სხვადასხვა ოთხი მუხლით და საღამოს უკვე კონცლაგერში იყო ოლეგ ფაცაციას კილერა მუხაძის ხელში, მაშინ რას ვირჩევდით პირველ ოქტომბერს?! სამართლიანობას უნდა საკანონმდებლო საფუძველი. ეს უნდა იყოს გამყარებული მერაბიშვილის და ადეიშვილის ძიებით კი არა, სამართლიანი ძიებით. ამას დრო უნდა ჩემო კარგებო. უმძიმეს დანაშაულებებზე მიდის ლაპარაკი. 22 ათასიდან, 17 ათასი კაცი ყალბ საქმეში მონაწილეობდა, ამ ხალხს დაკითხვა ხომ უნდა? მუხლების შედგენა უნდა, საქმეს გამყარება ხომ უნდა? ეგრე ხომ არ არის?! უბრალოდ ამდენი ადამიანი ხომ უნდა მოიკითხო, 17 ათასი კაცის სია ხომ უნდა წაიკითხო?! კიდევ რამდენი გაუხმაურებელი ფაქტია. ჯერ სადა ხართ, მერაბიშვილს სახელმწიფო ღალატისთვის მოუწევს პასუხის გაცემა. მე გეუბნებით, რომ ამის პერიოდიც დადგება. 2008 წლის ომის ვითარების გამრკვევი კომისია არ იქნება, გამოძიება იქნება აუცილებლად. როგორ მიიყვანა საქმე აქამდე, ნელა-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, სანაკოევის პროექტიდან დაწყებული, რომელიც უშუალოდ მერაბიშვილის ჩატარებულია, ეს ნამდვილად ვიცი. დავალებებს ვისგან ღებულობდა და საიდან ღებულობდა, ისიც ვიცი. ჩინეთსა და ბელორუსიაში რომ ხვდებოდა ფეესბეს წარმომადგენლებს, ესეც ვიცი. ეს იმასთან დაკავშირებით, რაც მერაბიშვილს ელოდება და მასთან ერთად ლომაიას, ასევე ბარამიძესაც, რომელიც პირველი ავანტიურის ერთ-ერთი თანაავტორი იყო ცხინვალის რეგიონში, რომლის მოწმეც მე ვარ უშუალოდ. მე მაშინ სახელმწიფო მინისტრი ვიყავი. რა იციან წინ რა ელოდებათ, ეს არის გვირილები, მხოლოდ გვირილები. იგივე ელოდება ბაჩო ახალაიასაც. რატომ არ უმძიმეს ბრალსო, ქართული საზოგადოება ისე მიეჩვია უპასუხისმგებლობას, ფიქრობენ, რომ ჯარისკაცის წამება ეს არ არის მძიმე დანაშაული. მაინცდამაინც თავის თვალით უნდა ნახონ ამოტრიალებული კუჭ-ნაწლავი, რომ დაიჯერონ დათა და ბაჩო ახალაია არიან კრიმინალები და უმძიმესი დამნაშავეები?! საკმარისი არ არის, რომ გეუბნებიან, ჯარისკაცი აწამაო? –არ არის! ჰოდა სანამ ასეთ მდგომარეობაში ვართ, უკმაყოფილებაც გვექნება. მერე, ნელ-ნელა რომ მივხვდებით, რა კოშმარს გადავრჩით და სად ვართ ახლა და სად ვიყავით პირველ ოქტომბრამდე, ალბათ დაიწმინდება გონება და ყველა მიხვდება, რომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ მომავალზე და არა წარსულზე.

შალვა ხაჭაპურიძე: „მერაბიშვილი სააკაშვილს გაწირავს“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან



– რამდენად შეეფერება სიმართლეს, რომ დათა ახალაიას მიერ მიწოდებული ინფორმაციების შედეგად დააკავეს ყოფილი პრემიერი?

– ოფიციალურად რა ბრალიც წაუყენეს ამ ადამიანს და რასაც ედავებიან, იქ დათა ახალაია არაფერ შუაში არაა. ყველასთვის ნათელი იყო, რომ ნაციონალური მოძრაობა ახორციელებდა ფინანსურ მაქინაციებს, რომლის მეშვეობითაც ახერხებდა ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვას. აქ მხოლოდ ქონების გაფლანგვაზე არ არის საუბარი, საუბარია ამომრჩევლების ხმების მოსყიდვაზე. ჩვენ ასევე მოვისმინეთ დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან, რომ მას დაემატება გირგვლიანის თემა და დაემატება 26 მაისის თემა, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ მეეჭვება, ამით მისი ბრალდებები ამოიწუროს. პირადად მე უამრავი საჩივარი მაქვს მის მიმართ შეტანილი. მე არ ვიცი, ახალაია რა როლს ითამაშებს სხვა საქმეებთან დაკავშირებით. ალბათ, გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით იქნება საინტერესო დათა ახალაიას პოზიცია, მაგრამ ფაქტი ერთია, დღეს მას კონკრეტული ბრალი აქვს წაყენებული. საკმაოდ სერიოზული სახელმწიფო დანაშაული იქნა გაშიფრული და, რაც არ უნდა იძახოს ახლა ნაციონალურმა მოძრაობამ, ვანო უდანაშაულოაო და მართონ აქციები, ფაქტი ერთია, ამ კაცს ჩადენილი აქვს უმძიმესი დანაშაულები.

– სანდრო გირგვლიანის თემას რაც შეეხება, საუბარია, რომ ეს საქმე დასრულებულია და დეტალები მალე გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი. გარდა იმისა, რომ ვანო მერაბიშვილს წაეყენება ბრალი ამ საქმეში, მისი ცოლის პასუხისმგებლობის საკითხიც ხომ არ დადგება?

– აქ ორი აზრი არ არსებობს. იმ შემთხვევაში, თუ ვანო მერაბიშვილს წაეყენება ბრალი გირგვლიანის თემასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გამოძიებას პასუხისგებაში მიცემა მოუწევს მერაბიშვილის მეუღლისაც, იმიტომ რომ ამ ამბის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე გახლდათ მერაბიშვილის მეუღლე, რომელიც იმ საღამოს საკმაოდ აქტიურობდა და ეს ჩვენ სტრასბურგის საქმიდან ვიცით. არათუ ვარაუდები უნდა გამოვთქვათ ამის შესახებ, მე, როგორც იურისტი, ვთვლი, რომ მერაბიშვილის მეუღლე, თაკო სალაყაია, აუცილებლად უნდა მიეცეს პასუხისგებაში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ იმ მასალებზე დაყრდნობით, რაც გაჟღერებულია. ბუნებრივია, გამოძიებას უფრო დეტალური ინფორმაცია ექნება და მეეჭვება, რომ ეს ქალბატონი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გაექცეს.

– ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებით რამდენად შეექმნა საფრთხე მიხეილ სააკაშვილს? საუბარია, რომ ის საკმაოდ შეშინებულია... ითანამშრომლებს მერაბიშვილი გამოძიებასთან თუნდაც იმავე სააკაშვილის საწინააღმდეგოდ?

– მე ვფიქრობ, რომ გარკვეული ბრალდებების წარდგენის შემდეგ ვანო მერაბიშვილი, რა თქმა უნდა, ითანამშრომლებს გამოძიებასთან. ვანო მერაბიშვილი არ გვყავს ცოტნე დადიანი, რომ ვინმესთვის თავი გაწიროს. ეს იყო მშიშარა კრიმინალების დაჯგუფება, რომლებმაც ავანტიურის გზით მოახერხეს ხელისუფლებაში მოსვლა. მას შემდეგ, რაც ვანოს ბრალდებები დაუმძიმდება და საკმაოდ სერიოზულადაც, მე არ გამოვრიცხავ, დადგეს საკითხი სამუდამო პატიმრობასთან დაკავშირებით. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის ფაქტები და მასალები, რომლებიც არსებობს და რომლებსაც დღეს ვერ გავაჟღერებ. ასეთ სიტუაციაში ვანო მერაბიშვილს მოუწევს გამოძიებასთან თანამშრომლობა იმისთვის, რომ თავი გადაირჩინოს. ვიცით ჩვენ, რომ არჩევნების შედეგები ბოლომდე არ იყო ცნობილი, რომ ადეიშვილი გაქრა საქართველოდან. მისი გაქრობის მთავარი მიზეზი გახლდათ ის, რომ სააკაშვილთან დამაკავშირებელი მთავარი რგოლი იყო ადეიშვილი-მერაბიშვილი. ადეიშვილმა ჭკუა იხმარა და გაიქცა, მერაბიშვილი კი დარჩა და ფიქრობდა, რომ, პოლიტიკური მანტიით შემოსილი, თავს გადაირჩენდა, თუმცა ეს აბსურდი იყო და მას უნდა სცოდნოდა. აქ გაიხსნება ძალიან ბევრი სქემა და მერაბიშვილს მოუწევს, ითანამშრომლოს გამოძიებასთან, გასცეს კითხვებზე პასუხი და მისი თანამშრომლობის პირველი ადრესატი იქნება სწორედ სააკაშვილი. შემდეგ ამას მოჰყვებიან ბოკერია, დავით ბეჟუაშვილი, მისი ძმა, რომელიც დღესაც მაღალი თანამდებობის პირია და ეს ყველაფერი დაკავშირებულია რუსეთთან.

– დაასახელებს მერაბიშვილი ამ ადამიანების გვარებს?

– საკმაოდ ბევრი ადამიანის დასახელება მოუწევს მერაბიშვილს, თუნდაც იმიტომ, რომ თავი გადაირჩინოს. მათი ერთობა, რომლითაც ასე მოჰქონდათ თავი, დარჩა წყალწყალა პოლიტიკოსის, დავით ბაქრაძის იმედზე. კრიმინალური საყრდენი მათ გამოეცალათ და დარჩნენ ბაქრაძე და ასეთი დონის პოლიტიკოსები. აქ მხოლოდ სააკაშვილზე არ იქნება საუბარი, საუბარი იქნება გიგა ბოკერიაზე. ჩვენ იმასაც გავიგებთ უახლოეს პერიოდში, ვინ იყო 17 მაისის აქციის ორგანიზატორი და იმ ძალადობის ორგანიზატორი და მაპროვოცირებელი. ვნახავთ ყველანი, რომ ეს ყველაფერი წავა სააკაშვილი-ბოკერიას მიმართულებით. აქციიდან მეორე დღეს ბოკერია ამერიკაში წავიდა და იქიდან გვმოძღვრავდა, თურმე რა მოძალადე ერი ვართ და ასე შემდეგ. ძალადობას არ ვამართლებ და ვგმობ, მაგრამ ეს აქცია არ იყო იმ აქციისთვის და იმ მიზნისთვის, რისთვისაც ტარდებოდა, ეს იყო წმინდა წყლის პოლიტიკური პროვოკაცია და ამ პროვოკაციის ავტორები გახლდნენ სააკაშვილი-ბოკერია-მერაბიშვილი. მერაბიშვილს კი ამ ყველაფერზე მოუწევს თანამშრომლობა და კითხვებზე პასუხის გაცემა. დარწმუნებული ვარ, ის აუცილებლად ითანამშრომლებს გამოძიებასთან თავის გადარჩენის მიზნით. ჩვენ ისეთ ფაქტებს მოვისმენთ, რომ საზოგადოება ამისთვის კარგად უნდა შეემზადოს. შეიძლება, გამაგნებელი და შოკისმომგვრელიც კი გახდეს მის მიერ მოწოდებული ინფორმაციები. ეს ყველაფერი ძალიან მალე გახდება ცნობილი საზოგადოებისათვის.

კოტე გაბაშვილი: „მერაბიშვილი რუსეთის პატიმარია“

შორენა გონგლაძე

იტალიაში საქართველოს ყოფილი ელჩი კოტე გაბაშვილი „ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის დაკავებაში ხელეს ხედავს. მისი თქმით, ვანო მერაბიშვილის დაკავება ხელისუფლების მოთხოვნა იყო. ამის შესახებ განცხადება გაბაშვილმა „პრაიმ-ტაიმის" პრესკლუბში გააკეთა. მისი თქმით, ხელისუფლების მხრიდან ვანო მერაბიშვილთან ერთად მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების მოთხოვნაცაა.

კოტე გაბაშვილი მიიჩნევს, რომ მერაბიშვილის დაკავებით რუსეთი იყო დაინტერესებული, რათა ვანო მერაბიშვილი პოლიტიკურ მოვლენებს სრულად ჩამოსცილებოდა, თანაც, ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მერაბიშვილი მუდმივად პრობლემებს უქმნიდა რუსეთს, მან რამდენიმე სერიოზული ოპერაცია ჩაუშალა ოკუპანტებს.

– ვანო მერაბიშვილის დაკავება რუსეთის მოთხოვნა იყო. მერაბიშვილის დაკავება კომპლექსური მიზეზების გამო მოხდა. ერთს გეტყვით, ვანო მერაბიშვილი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელმაც რუსეთის სპეცსამსახურებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩაუშალა. მგონია, რომ მისი დაკავება რუსეთის სერიოზული მოთხოვნაა. ამას დაემთხვა „ქართულ ოცნებაში“ არსებული რევანშისტული ფრთის სურვილი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დასუსტდეს. მნიშვნელოვანია მათთვის, რომ ვანო მერაბიშვილი პარტიის ინფრასტრუქტურას ხელმძღვანელობს. რუსეთის ასეთ მოთხოვნები მიზნად ისახავს დასავლური ორიენტაციის მძლავრი ძალის მოსპობას. ცნობილია, რომ რუსეთი ძალიან განიცდის თავისი აგენტების ბედს და განსაკუთრებით იცავს მათ. მათი გაღიზიანება ასეთი მარცხის გამო არის სერიოზული რევანში. ჩვენ რაღაც დათმობა გავაკეთეთ და გავათავისუფლეთ მათი აგენტები პოლიტპატიმრების საფარქვეშ. როგორც ჩანს, ეს არ იკმარეს და მათ უნდათ დასჯა იმისა, ვინც თავის დროზე დაიჭირა ისინი. ალბათ, გარკვეული არხები გააჩნიათ, რომ ეს საქართველოს მოსთხოვოს. მე მგონია, რომ ეს რუსეთის სერიოზული მოთხოვნა იყო, – განაცხადა კოტე გაბაშვილმა.

გაბაშვილის თქმით, რუსეთი შეურაცხმყოფელ და დამცირების პოლიტიკას აწარმოებს საქართველოს მიმართ.

– მოვლენები ისე ვითარდება, როგორც მოსალოდნელია რუსული ლოგიკით. ეს პროცესი ხდება აქაც. არ ვიცით, რა კონკრეტული ამოცანები აქვთ რუსებს, მაგრამ ეს არის ე.წ. შეურაცხყოფა და დამცირების პოლიტიკა, რომელსაც ახლა ეწევა. ამიტომაც რუსეთის ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს მუდმივი დისკომფორტი და ეს მიიღწევა საერთაშორისო დონეზე, რათა მათ იცოდნენ, რომ მათ ექნებათ პრობლემები ყველგან, – აცხადებს გაბაშვილი.

– იმ პირობებში, როდესაც ჩვენი მხრიდან მაქსიმალურად კონსტრუქციულ რეჟიმში მიდის ლაპარაკი, ასეთი ნაბიჯები რუსეთის მხრიდან არალოგიკურია. – ამის შესახებ განცხადება „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ექსპერტმა თორნიკე შარაშენიძემ გუშინ გააკეთა. შარაშენიძის განცხადებით, როგორც ჩანს, აბაშიძე-კარასინის ფორმატში მიმდინარე დიალოგში დათმობა არ მოხდა.

– თუ მათ უნდათ, რომ საქართველო დააბრუნონ თავიანთი გავლენს სფეროში, მაშინ წესით, პირიქით უნდა მოიქცნენ, მაგრამ როგორც ჩანს, მათ მიაჩნიათ, რომ ჩვენ მაინც ვერსად ვერ გავიქცევით, რუსეთის იქით გზა არ გვაქვს და ამიტომ მოითხოვენ ჩვენგან ყველანაირ დათმობას. როგორც მე ვიცი, საოკუპაციო ხაზის გადმოწევა არ არის პირველი შემთხვევა, სხვა დროსაც ყოფილა მსგავსი შემთხვევები და ამ ყველაფერმა უკვე მიიღო სისტემატური ხასიათი. როგორც ჩანს, ისინი ჩვენგან მოითხოვენ რაღაც სერიოზულ დათმობას.

შარაშენიძის თქმით, საქართველოს მეტი გააქტიურება მართებს საერთაშორისო ასპარეზზე და გუშინდელი საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ამის მანიშნებელია, რომ ისინი რუსეთთან მიმართებაში თანდათან ტონს იცვლიან.

– გუშინდელი საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება იმის დემონსტრირება იყო, რომ საგარეო უწყებამ ტონი შეცვალა რუსეთთან მიმართებაში. ჩვენი მხარე მუშაობდა ისეთ რეჟიმში, რომ ჩვენ მათ დავანახეთ კეთილი განწყობა, თუმცა ამაზე შედეგი, საკმაოდ ცუდია. როგორც ჩანს, აბაშიძე –კარასინის შეხვედრის ფარგლებში არსებული დიალოგი არ აღმოჩნდა შედეგის მომტანი. ამიტომაც ჩვენ უნდა გავაქტიურდეთ საერთაშორისო ასპარეზზე ყველა ფორმატში. რუსებმა თუ ასე ყოველდღიურად გადმოწია საზღვარი, თბილისამდე ძალიან ცოტა მანძილი დარჩება, – აცხადებს ექსპერტი.

შარაშენიძე ვანო მერაბიშვილის დაკავებასაც შეეხო, მისი თქმით, მერაბიშვილის დაკავება ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო პროცესებზე არ აისახება, რადგანაც არც მერაბიშვილს და არც „ნაციონალური მოძრაობის“ რომელიმე სხვა წევრს არჩევნებში გამარჯვების შანსი არ ჰქონდა.

– ვერსად გავექცევით, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ითხოვს ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრებას და მათ შორის ერთ-ერთი პირველი ვანო მერაბიშვილია. რაც შეეხება იმას, რომ ამით „ნაციონალურ მოძრაობას“ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების წინ დარტყმა მიაყენა, მე ასე ვერ ვიტყოდი იმიტომ, რომ ცხადია, არანაირი გამარჯვების შანსი არც მერაბიშვილს და არც „ნაციონალური მოძრაობის“ არც ერთ წევრს არ ჰქონდა არჩევნებში. პირიქით, ასეთმა დაპატიმრებებმა შეიძლება მათი რეიტინგი ასწიოს კიდევ, თუმცა, რა თქმა უნდა, არჩევნებს მაინც ვერ მოიგებენ, – აცხადებს შარაშენიძე და დასძენს, რომ ვანო მერაბიშვილსა და ტიმოშენკოსთან პარალელები არასწორია.

– იმისათვის, რომ გამოირიცხოს შედარებები უკრაინასთან, უნდა მოხდეს ორი რამ: პირველ რიგში, გამოძიება და სასამართლო პროცესი უნდა წარიმართოს გამჭვირვალედ და თუ მერაბიშვილს ბრალი არ დაუმტკიცდება, უნდა გაათავისუფლონ, მიუხედავად იმისა, ვინ ითხოვს მის თავს და მეორე, ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი უკეთესია როგორც საქართველოს წინა ხელისუფლებაზე, ისე უკრაინის ხელისუფლებაზე, რომელმაც დაიჭირა ტიმოშენკო. ამ მხრივ, თუ საქართველოს ხელისუფლება იმუშავებს, ეს ლაპარაკი პოლიტიკურ დაპატიმრებაზე ნელ-ნელა გაქრება, – აცხადებს შარაშენიძე.

რუსეთის მიერ საოკუპაციო ხაზების გადმოწევას საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილიც გამოეხმაურა, მისი თქმით, ეს მთავრობის ბრალი არ არის, ეს რუსული გეგმის ნაწილია. ამის შესახებ პრეზიდენტმა გორის სამხედრო აკადემიაში ჯარისკაცებთან შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ითქვა, რომ საოკუპაციო ხაზები გადმოწია რუსეთის იმპერიამ. ამაზე იყო პოლიტიკური განცხადებები, თუმცა მე საქართველოს მთავრობას არ ვადანაშაულებ. რუსეთს აქვს თავისი გეგმა. ის არ უყურებს, როდის რა განცხადება გავაკეთეთ, როდის რა ვთქვით. ის მიყვება თავის გეგმას. არაფერ შუაში არ არის, რა გააკეთა მთავრობამ წინა კვირაში. ეს არ არის ქართული მთავრობის ბრალი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მათ აქვთ ეს გეგმა და უნდა ვიყოთ ფრთხილად სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში. რუსეთის ფედერაცია არის ჩვენი მეზობელი და გრძელვადიან პერსპექტივაში გვინდა მასთან კარგი ურთიერთობა, მაგრამ ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის ამოცანა არ ყოფილა ცალკე აღებულ რომელიმე არმიასთან ბრძოლა. მათ არ მოსწონდათ გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი, მათ არ მოსწონდათ საქართველოს არც ერთი ლიდერი, რომელიც საქართველოს ინტერესებს დაიცავს. მათთვის ფუნდამენტურად მიუღებელია ქართული სახელმწიფო. ამ ეტაპზე არის ასე. გუშინ ბევრი კითხვა დაისვა, რომ აი, კიდევ მცდელობა აქვთ ოკუპაციის ხაზის გადმოწევის, ეს იმის ფონზე, რომ რუსეთის მიმართ ჩვენი რიტორიკა შეიცვალა. რუსეთს არ აინტერესებს, ჩვენ რა რიტორიკა გვაქვს. რაც გინდა, ის ილაპარაკე და რაც გინდა, ის ეფერე, ამას მნიშვნელობა არ აქვს. პირველ წლებში ჩემზე მეტად არავინ მოფერებია, მთავარია, რომ ქართული სახელმწიფო არის მათთვის ფუნდამენტური პრობლემა. კავკასიაში, რომელიც ყველა დამპყრობლისთვის ძალიან გემრიელი ლუკმა იყო, საუკუნეების განმავლობაში პირველად გაჩნდა თანამედროვე სახელმწიფო. დღეს რუსეთს აქვს პრობლემები ყველა მიმართულებით, იმიტომ, რომ რუსეთმა ბოლო წლებში უარი თქვა მოდერნიზაციაზე, მათი მთავარი იმედი იყო, რომ ისინი ამერიკას მიყიდიდნენ გაზს, მიიღებდნენ ტრილიონობით დოლარს და შემდეგ ამას მოახმარდნენ სამხედრო გადაიარაღებას და ამ ქვეყნების დაპყრობას. „ფიქალის გაზი“ არის ის საკითხი, რომელმაც ამ ოცნებებს დაუსვა წერტილი. აღმოჩნდა, რომ ეს გაზი არის ამერიკაში და 2016-2017 წლებში ამერიკა გახდება მთავარი ექსპორტიორი მსოფლიოში გაზის და ნავთობის. ამერიკას რუსული გაზი აღარ სჭირდება და ასევე ევროპის რამდენიმე ქვეყანას უკვე ფაქტიურად რუსული გაზი აღარ სჭირდება. ეს მთლიანად ცვლის ეკონომიკურ გათვლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ უახლოეს წლებში რუსეთს, როგორც იმპერიას, ძალიან დიდი პრობლემები ექნება. რუსეთი, როგორც სახელმწიფო, ყოველთვის იქნება ჩვენი მეზობელი და მასთან კარგი ურთიერთობები აუცილებლად გვექნება და მე ვიქნები ამის პირველი მომხრე. ჩვენ უნდა გვესმოდეს, საით მიდის სიტუაცია. სიტუაცია მიდის იქით, რომ იმ პირობებში, როცა დემოგრაფიული და სოციალური პრობლემები აქვს ამ ქვეყანას, რეალურად მათ აღარ ექნებათ საშუალება კონცენტრირდეს ექსპანსიაზე, – განაცხადა სააკაშვილმა.

საზღვრის გადმოწევის ფაქტი გააპროტესტა ასევე არასამთავრობო ორგანიზაციამ „თავისუფალი კლუბი“, მათი წევრები რუსეთის ყოფილ საელჩოსთან აქციის გამართვას გეგმავენ. ორგანიზაციის წევრის, ზვიად ხორგუაშვილის განცხადებით, აქციას რამდენიმე მიზანი აქვს:

– პირველი ის, რომ საოკუპაციო ძალების გაპროტესტება, ერთიანი სამოქმედო პროგრამის დაფიქსირება, საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების მოპყრობა, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ყურადღების მიქცევა და გააქტიურება, რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ მოლაპარაკებებში ამ საკითხის მწვავედ დაყენება და აღნიშნული ქმედებით დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების აღმოჩენა, რაც შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ გაძლიერდეს სასაზღვრო კონტროლი. ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, საქართველომ არ აწარმოოს ურთიერთობები რუსეთთან დამოუკიდებლად, ამ პროცესებში ჩაერთონ ჩვენი მეგობარი ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ მონიტორინგი და ჩვენ ვთხოვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ამ პროცესში აქტიურად ჩაებნენ, – განაცხადა ხორგუაშვილმა. ორგანიზაციის წევრები აქციაზე სხვა არასამთავრობოებსა და პოლიტიკურ პარტიებსაც იწვევენ.

ირინა სარიშვილი: „ჭანტურიას მკვლელობის გამოძიება ბევრს არ აწყობს“

შორენა გონგლაძე

– მე ოპტიმისტურად არ ვარ განწყობილი, არ გამჩენია აზრი, რომ გამოძიების დასაწყებად ამ ხელისუფლებისთვის მიმემართა. თუმცა კარგია, რომ გიორგი ჭანტურიას შვილმა სასამართლოს მიმართა. რაც უფრო ხშირი იქნება მოთხოვნა, რომ ხელახალი გამოძიება ჩატარდეს, მით მალე დადგება ის დრო, როცა ეს ზეწოლა შედეგს გამოიღებს, – ეს განცხადება ირინა სარიშვილმა გუშინ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გია ჭანტურიას საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით გააკეთა.

სარიშვილის განცხადებით, იმისათვის, რომ ჭეშმარიტება დადგინდეს, საჭიროა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სისტემური ცვლილება, რაც არ მომხდარა და საეჭვოა, რომ გამოძიება ნორმალურად წარიმართოს. ირინა სარიშვილი მიიჩნევს, რომ დღევანდელი გარემოება და ვითარება მისი მეუღლის გია ჭანტურიას მკვლელობის ობიექტური გამოძიების საშუალებას არ იძლევა.

– პირადად მე ჩემი მეუღლის საქმის გამოძიების მიმართ ოპტიმისტურად არ ვარ განწყობილი. ეს სწორი ნაბიჯია გიორგაძის მხრიდან. რაც უფრო მეტჯერ მოვითხოვთ, უფრო დავაჩქარებთ გამოძიებას. გამომდინარე იქიდან, რომ ვფლობ ინფორმაციას მონაწილეებსა და ორგანიზატორებზე და გამომდინარე იქიდან, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სისტემური ცვლილება არ მომხდარა, ეჭვი მეპარება გამოძიება ობიექტურად წარიმართოს. არ გამოვრიცხავ, რომ დღესაც აღმოჩნდნენ ადამიანები, ვინც დაკნინებენ იმ ტერაქტის მნიშვნელობას, რასაც ჩემი მეუღლე შეეწირა, – განაცხადა ირინა სარიშვილმა.

ირინა სარიშვილი მზად არის, შემთხვევის ადგილზე, გასროლის შედეგად მოხვედრილი ტყვია, გამოძიებას გადასცეს. როგორც სარიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამისთვის აუცილებელია ჩატარდეს ოპერაცია და ტყვია იქნას ამოღებული მისი ორგანიზმიდან.

– ორი ტყვია აღმოჩნდა ჩემს სხეულში. მე გამიკეთდა ოპერაცია და ერთი მათგანი ამოიღეს, თუმცა მეორეს ამოღება ვერ შეძლეს, რადგან ის გულთან ახლოს იყო და შეიძლებოდა ამ ოპერაციას სიცოცხლისთვის საფრთხე შეექმნა. თავის დროზე მე დამიკავშირდა კვირაია, რომელსაც მე ერთ-ერთ ეჭვმიტანილად განვიხილავ ამ ტერაქტის ფარგლებში. დამირეკა და შემომთავაზა ოპერაციის გაკეთება მთავრობის ხარჯებით და ამ ტყვიის ამოღება. მაგრამ მე ამ ტყვიის ამოღებასთან დაკავშირებით ჩემი დამოკიდებულება მაქვს და უარი ვუთხარი. გავიდა დრო და გამოძიებით დადგინდა, რომ საქმეში არსებული იარაღი ვერ გაისროდა იმ ტყვიას, რომელიც ჩემს ორგანიზმშია. აქედან გამომდინარე ჩემთვის ნათელი გახდა, თუ რატომ იყო ჩემზე ზრუნვა იმ მთავრობისთვის პრიორიტეტი. თუ დღეს ობიექტური გამოძიება ჩატარდება და დაინტერესდება ამ ყველაფრით, მზად ვარ, ჩემი ორგანიზმიდან ამოვიღო ტყვია და სამხილის სახით გადავცე გამოძიებას, – აცხადებს სარიშვილი და პროცესში კვალიფიციური ექსპერტების ჩართვას ითხოვს.

შეგახსენებთ, რომ სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ჭანტურიას მკვლელობის საქმის გამოძიების განახლებას მოითხოვს.

როგორც გიორგაძემ განაცხადა, შესაბამისი მოთხოვნით მან პროკურატურას განცხადებით უკვე მიმართა.

ავთანდილ მარგიანს პრეზიდენტობა სურს

რამდენიმე თვეში საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ბევრს გაუჩნდება. მსურველებმა უკვე მიმართეს ცესკოს.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ყოფილ ვიცე-პრემიერს ავთანდილ მარგიანსაც გაუჩნდა. მისი კანდიდატურა უკვე წარდგენილია ცესკოში. თუმცა არაა გამორიცხული, მან კანდიდატურა მოხსნას. როგორც ცნობილია, ის ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერია და ოცნების კანდიდატთან დაპირისპირებას არ მოისურვებს.

შორენა გონგლაძე

მოქალაქე -მარინე ხუციშვილს
პ/ნ- 01008046915

როგორც მოგეხსენებათ სს “ბითიეი ბანკთან” გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 765220001
საკრედიტო ხელშეკრულება	N 765220001-1
გირავნობის ხელშეკრულება	N 765220001-ა

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით,

სს “ბითიეი ბანკი“

მოქალაქე -ხვიჩა ხაჭაპურიძეს
პ/ნ-01017004991

როგორც მოგეხსენებათ სს “ბითიეი ბანკთან” გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 715820001
საკრედიტო ხელშეკრულება	N 715820001-3
გირავნობის ხელშეკრულება	N 715820001-ა

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით,

სს “ბითიეი ბანკი“

მოქალაქე -ნინო ჩეგიანს
პ/ნ- 01024070811

როგორც მოგეხსენებათ სს “ბითიეი ბანკთან” გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 779120001
საკრედიტო ხელშეკრულება	N 779120001-1
გირავნობის ხელშეკრულება	N 779120001-ა

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით,

სს “ბითიეი ბანკი“

„26 მაისს ჩემი წამება და ცემა პირადად გრიგოლ კვინიკაძის ხელმძღვანელობით ხდებოდა“

გენერალ თამაზ თამაზაშვილის საქმეზე დაკავებულ პოლიციელებს შორის, ყოფილმა პოლიტპატიმარმა კობა გოცირიძემ, ერთ-ერთ დაკავებულში ის პიროვნება ამოიცნო, რომელიც 2011 წლის 26 მაისს, მისი წამების პროცესს პირადად ხელმძღვანელობდა.

ყოფილი პოლიტპატიმრის განცხადებით, პიროვნება, რომელიც მასზე და სხვა დაკავებულებზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდა, – გრიგოლ კვინიკაძეა. 26 მაისს მისი წამების შესახებ, „ნიუსპრესს“ თავად კობა გოცირიძე ესაუბრება.

– ბატონო კობა, როგორ მოხდა 26 მაისს თქვენი დაკავება და სამმართველოში გადაყვანა?

– 2011 წლის 26 მაისის აქციის დროს, როდესაც ცრემლსადენი გაზი გაუშვეს და აქციის მონაწილეების დარბევა დაიწყო, მე და ჩემმა მეგობრებმა მანქანით დავიწყეთ გადაადგილება, რომელიც შიდა ტერიტორიაზე გვყავდა გაჩერებული. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩვენს მანქანაზე განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული. თავისუფლების მოედანზე ჩვენი მანქანის მიმართულებით დაიწყეს სროლა, სანაპირომდე პოლიციის მანქანებით მოგვსდევდნენ და გვესროდნენ. გადავწყვიტეთ თავი რომელიმე საელჩოსთვის შეგვეფარებინა. ვაკეში, ჩეხეთის საელჩოსთან ავტოავარიაში მოვყევით, საელჩოს კედელს შევეჯახეთ და ამის გმო ვეღარ მოვახერხეთ შენობაში შესვლა. მხოლოდ ერთმა ჩვენმა მეგობარმა, რომელიც მანქანას მართავდა, მოასწრო და შენობაში შევიდა. ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ჩვენ ადგილზე დაგვაკავეს, ძირს დაგვაწვინეს და უმოწყალოდ გვცემდნენ. ეს დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. შემდეგ კი პოლიციის სამმართველოში გადაგვიყვანეს სადაც უკვე ჩვენი წამება დაიწყო.

– რა ხდებოდა სამმართველოში, როგორ გეპყრობოდნენ თქვენ და სხვა დაკავებულებს?

– სამართალდამცავები ჩვენგან აღიარებით ჩვენებას ითხოვდნენ, რომ თითქოს ჩვენი მანქანა დაეჯახა იმ პოლიციელს, რომელიც შემდგომ, აქციაზე ესკორტის დაჯახების შედეგად გარდაცვლილად გამოცხადდა. სამმართველოში სასწაული ხდებოდა, ყველა უმოწყალოდ იყო ნაცემი, მსგავსი რამ არც მინახავს. როგორ შეიძლება შენივე ქვეყნის შვილს ასე მოექცე რაც არ უნდა დამნაშავე იყოს ის, მითუმეტეს რომ ჩვენ არანაირი დანაშაული არ ჩაგვიდენია.

– თქვენ, იმ პირებს შორის ვინც პატიმრებს აწამებდნენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ამოიცანით, რომელიც ამჟამად დაკავებულია, ვინ არის ეს პიროვნება და რა სახის ზეწოლას ახორციელებდა დაკავებულებზე?

– მე მხოლოდ ეს პოლიციელი არ ამომიცვნია, 26 მაისის საქმეზე როდესაც გამოძიება მიმდინარეობდა, იმ სამართალდამცავებიდან ვინც გვაწამებდა, რამდენიმე მაღალჩინოსანი ამოვიცანი. ამის შესახებ პროკურატურასაც 26 მაისის საქმის გამოძიების დროსაც განვუცხადე, შემდეგ კი, როდესაც ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ თამაზ თამაზაშვილის საქმეზე პოლიციელები დააკავესო, კადრების ნახვის დროს გრიგოლ კვინიკაძეც ამოვიცანი.

– ანუ ეს ადამიანი პირადად მონაწილეობდა პატიმრების წამებაში?

– დიახ. მე პირადად როდესაც დამაკავეს და სამმართველოში გადამიყვანეს, ჩემი წამება და ფსიქოლოგიური ზეწოლა, პირადად გრიგოლ კვინიკაძის ხელმძღვანელობით ხდებოდა. თავად კვინიკაძე მიტარებდა დაკითხვას და ჩემგან აღიარებით ჩვენებას ითხოვდა.

– აპირებთ თუ არა მის ქმედებებთან დაკავშირებით გამოძიებასთან თანამშრომლობას?

– კვინიკაძის ამოცნობის შემდეგ, პროკურატურაში ჩვენების მისაცემად დამიბარეს. შესაბამისად, მე გამოძიებას ჩვენება უკვე მივეცი, მეტს კი ამ ეტაპზე, ისევ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერაფერს ვერ ვიტყვი.

ლიკა მეგუთნიშვილი
საინფორმაციო
სააგენტო „ნიუსპრესი“

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გამოავლინეს და სამსახურებრივი გულგრილობისა და თაღლითობის ფაქტზე ბრალი წაუყენეს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს – 1963 წელს დაბადებულ ელდარ გ-ს, 1959 წელს დაბადებულ დალი კ-სა და 1981 წელს დაბადებულ ფირანი რ-ს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ და სამუშაო ჯგუფის ერთმა წევრმა არაჯეროვნად შეასრულა მათზე დაკისრებული მოვალეობა. ელდარ გ-მ და დალი კ-მ, გადამოწმების გარეშე ხელი მოაწერეს ჯგუფის მეორე წევრის – ფირანი რ-ს მიერ მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შესახებ 2012 წლის 17 დეკემბერს თაღლითურად შედგენილ აქტს. ელდარ გ-ს და დალი კ-ს მიმართ გამოძიება სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო ფირანი რ-ს მიმართ, თაღლითობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, დღეს, პირველი ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა, სადაც შეხვედრებს, ევროკავშირისა და ნატოს უმაღლეს წარმომადგენლებთან გამართავს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, კერძოდ, შეხვედრები გაიმართება: საშინაო საქმეების საკითხებში ევროკომისარ სესილია მალმსტრომთან, გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფულესთან, ბელგიის შს მინისტრ ჟოელ მილკესთან, ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ელექსანდრ ვერშბოუსთან და გენერალური მდივნის თანაშემწეებთან: დირკ ბრენგელმანთან, გაბორ იკლოდთან და ჰუსეინ დირიოზთან. ვიზიტის ფარგლებში, გაიმართება ასევე საჯარო შეხვედრა-დისკუსია არასამთავრობო სექტორისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. შეხვედრის განხილვის თემა იქნება საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები და განხორციელებული რეფორმები.

ნიუსპრესი

შსს-მ „საქართველოს ბანკის“ ფილიალის დაყაჩაღების ბრალდებით ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე, ყაჩაღობაში ბრალდებული სერგო მ. და მისი თანამზრახველი ილია ქ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სერგო მ. 2013 წლის 27 მაისს საღამოს 9 საათზე თამარ მეფის გამზირზე, საქართველოს ბანკის „ექსპრეს ცენტრი“-ს ფილიალში შეიჭრა, იარაღის მუქარით დიდი თანხა – 11 757 ლარი, 3 740 ევრო და 13 958 აშშ დოლარი გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სერგო მ. მომხდარიდან 3 საათში თბილისში, საარბრიუკენის მოედანზე, რესტორან „ტიფლისში“ დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა ასევე, რომ აღნიშნული ბანკის უსაფრთხოების თანამშრომელი, მომხდარ დანაშაულში ბრალდებულის თანამზრახველი იყო. სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული ილია ქ. თაბუკაშვილის ქუჩაზე რამდენიმე საათში დააკავეს. ჩადენილ დანაშაულს ორივე ბრალდებული აღიარებს.

მედიანიუსი

განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1982 წელს დაბადებული დემნა ზ. დააკავეს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულმა გურჯაანში, კოსტავას ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, მეზობელი – 1979 წელს დაბადებული ალექსანდრე ნონეშვილი ცივი იარაღით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი გურჯაანის რაიონის „ჯეო ჰოსპიტალში“ გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა. მას გულმკერდის მარცხენა ნახევარში ერთი შემავალი ჭრილობა აღენიშნებოდა. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და

საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დემნა ზ., მომხდარიდან რამდენიმე საათში გურჯაანში, კოსტავას ქუჩაზე, მისივე საცხოვრებელ სახლში დააკავეს.

ნიუსპრესი

სანდრა რულოვსმა მემორანდუმი გააფორმა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– „მუზა“ არის შესანიშნავი კომპანია, რადიო საკმაოდ პოპულარულია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, როგორც მაშველი რგოლი ისე დაეხმარება კლასიკური მუსიკის პოპულარაციზაციას. ძალიან ბევრი ვიცი, ვინც ამ რადიოს უსმენს, სულ ჩართული აქვთ, მათ შორის ერთ-ერთი პირველი მე ვარ. პოლიტიკური დაპირისპირებებით გადაღლილი ადამიანები, ისმენენ კლასიკურ მუსიკას და ისვენებენ, ეს ხელოვნება არის ოაზისი. ჩვენ ვდებთ პირობას, რომ მას დავეხმარებით, ეცვლება მას სტატუსი, ის ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი მაგრამ ჩვენ, როგორც მაშველი რგოლი ხელი უნდა გავუწოდოთ ხელი ამ კლასიკას და განვაგრძობთ იგვიე ფორმატით მაუწყლობას. ჩვენ ხელს ვუწყობთ კლასიკური მუსიკის განვითარებას და პოპულარიზაციას, ამის დასტურია დღეს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მეომორანდუმიც, – აღნიშნა კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ.

წიგნის ფესტივალი „პოეზიის ღამით“ დაიხურა

ეკა ირემაშვილი

რიგით მეთხუთმეტე წიგნის საერთაშორისო ფესტივალი მწერალთა სახლის ეზოში საზეიმოდ დაიხურა. „პოეზიის ღამე“ – ასე ეწოდებოდა ღონისძიებას, რომელშიც თანამედროვე ქართველმა პოეტებმა ალექს ჩიღვინაძემ, დიანა ანფიმიადმა, პაატა შამუგიამ, რატი ამაღლობელმა, მაია სარიშვილმა, შოთა იათაშვილმა, სალომე ბენიძემ, ზურაბ პაპიაშვილმა, გიორგი ლობჟანიძემ, ერეკლე დეისაძემ, კატო ჯავახიშვილმა, ზაზა კოშკაძემ მიიღეს მონაწილეობა და შეკრებილი მსმენელისთვის თავიანთი ლექსები წაიკითხეს.

მთლიანობაში ოთხდღიან ფესტივალზე არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება დაიგეგმა, რასაც წინ უძღოდა ორდღიანი ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი. ფესტივალის ფარგლებში მკითხველი მისთვის საყვარელ არაეთრ ცნობილ მწერალსა თუ პოეტს შეხვდა, კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ თავისი ლექსების კრებულის პრეზენტაცია გამართა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ ტრადიცია არც წელს დაარღვია და საზეიმო ვითარებაში გამოვალინა წლის საუკეთესო მოთხრობის ავტორი და მოაწყო „15 საუკეთესოს“ კრებულის პრეზენტაცია. გამომცემლობამ მისი მხარდამჭერები 15 საუკეთესო მოთხრობის ავტორებიც დააჯილდოვა. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ დავით სარაჯიშვილის სახლში, მწერალთა კავშირის შენობაში გამართა ყველაზე მასშტაბული და მნიშვნელოვანი სერიის პრეზენტაცია, სადაც ცნობილი გახდა, რომ მსოფლიო ლიტერატურის 300-ტომეულიდან დასაბეჭდად მზად არის პირველი 100 ტომი. მათგან პირველი 5 ტომი უკვე გამოცემულია და იყიდება. მსოფლიო ბიბლიოთეკის 100-ტომეული თავს უყრის ყველა იმ ნაწარმოებსა და ავტორს რომლებმაც შეცვალეს ადამიანის აზროვნება, შეცვალეს ჩვენი სამყარო. სერია იწყება ანტიკური ლიტერატურით და მოდის დღემდე. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო პირველი ხუთი ტომი, მოხდა მთელი პროექტის ჩანაფიქრისა და მონაწილეების პრეზენტაცია, შედგა სპეციალურად აღნიშნული პროექტისთვის გადაღებული ფილმის ჩვენება, რომელშიც გამოჩენილი მწერლები, ლიტერატორები და მეცნიერები მსოფლიო ლიტერატურის მრავალტომეულის მნიშვნელობაზე საუბრობენ, მოეწყო დავით სარაჯიშვილის სასახლის ამსახველი ერმაკოვის მიერ გადაღებული ისტორიული ფოტოების ჩვენება.

ასტომეული 120 მთარგნელის თარგმანით მოიცავს მსოფლიო ლიტერატურას ანტიკური ხანიდან XVIII საუკუნემდე. სამომავლოდ დაგეგმილია სერიის გაგრძელება. 300-ტომეული XXI საუკუნის ლიტერატურით დასრულდება. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დროის ამ ტიპის მრავალტომეულებისგან განსხვავებით „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ეს სერია წარმოადგენს საუკეთესო თარგმანებს ორიგინალიდან და არა რუსული ენიდან.

აღნიშნული პროექტის პრეზენტაციით ფართო საზოგადოებისთვის გაიხსნა ახლადგარემონტებული მწერალთა კავშირის შენობა. დავით სარაჯიშვილის უნიკალური არქიტექტურისა და დიზაინის მქონე სასახლე რომელიც ცნობილმა მეცენატმა ქართველ ხელოვანებს უანდერძა.

წიგნის ფესტივალზე მოეწყო სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემელთა და ავტორთა მორიგი ერთობლივი პრესკონფერენცია და გამომცემლობა „ინტელექტის“ ახალი წიგნის პრეზენტაცია. მედიას საშუალება მიეცა შეეტყო სიახლეები „სახელმძღვანელოების გამომცემელთა საქმეზე“, გაცნობოდა ხელოვანთა ჯგუფის სოლიდარობის გამომხატველ უახლეს წერილს და გაეშუქებინა გამომცემლობა „ინტელექტის“ ახალი წიგნის წარდგინება, რომელიც „სახელმძღვანელოების გამომცემელთა საქმის“ მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალას ასახავდა. პავილიონლის ცენტრში იდგა ბანერი, სადაც ავტორთა და გამომცემელთა მხარდამჭერების განცხადებები და ხელმოწერები იყო გამოქვეყნებული, ხოლო გამომცემლობა „ინტელექტმა“ გაავრცელა სპეციალური გამოცემა „როგორ წავართვათ წიგნი ავტორსა და გამომცემელს“ – უფასო სახელმძღვანელო დამწყები მინისტრისთვის, რომელშიც თავმოყრილია ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომლითაც გამომცემლებმა მიმართეს სამინისტროსა და შესაბამის უწყებებს, დაბრუნებული პასუხები, პრესაში და ელექტრონულ სივრცეში გავრცელებული ანალიტიკური წერილები, სინქრონი სატელევიზიო გადაცემებიდან, სოლიდარობის გამომხატველი გამოხმაურებები. როგორც ავტორებმა აღნიშნეს, მკითხველისთვის ასე უფრო იოლია ანალიზის გაკეთება. წიგნში აღნიშნულია, რომ მომდევნო გამოცემებში მოცემული იქნება სამართლებრივი ბრძოლის პერიპეტიები და ჟურნალისტური გამოძიებები.

ხელოვანების სოლიდარობა სახელმძღვანელოების ავტორებსა და გამომცემლობებს:

„საავტორო უფლებების დაცვა ყოველი ცივილიზებული ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, მათ შორის საქართველოსთვისაც. ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში წლების მანძილზე კერძო პირების მხრიდან გამუდმებით ირღვეოდა საავტორო და ინტელექტუალური საკუთრების უფლება. ბოლო დროს თითქოს ვითარება შეიცვალა, გამოსავლის ძიების მიზნით ეს საკითხი არაერთი მსჯელობის საგანი გახდა და უფლებათა დაცვის რამდენიმე დამატებითი მექანიზმიც გამოიძებნა. თუმცა დღეს კიდევ ერთხელ დავდექით ამ პრობლემის წინაშე, კიდევ ერთხელ დაირღვა ინტელექტუალური საკუთრების უფლება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად დარღვევა, სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან ხდება.

ვფიქრობთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილება – უფასოდ დაურიგოს მოსწავლეებს სასკოლო სახელმძღვანელოები – მისასალმებელი და დროული გადაწყვეტილებაა, მაგრამ დასანანია, რომ ეს ხდება სახელმძღვანელოების ავტორებისა და გამომცემლების ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დარღვევის გზით. ჩვენი აზრით, გამომცემლობის როლის დაკნინება და ავტორთა უპატივცემულობა დაუშვებელია. ასეთი რამ ცივილიზებულ ქვეყანაში არ უნდა ხდებოდეს. მნიშვნელოვანია, რომ წიგნებზე მომუშავე ჯგუფმა მიიღოს სათანადო ანაზღაურება, რომლის განსაზღვრა მოლაპარაკების მაგიდასთან სავსებით შესაძლებელია. არაერთ სახელმწიფოს აქვს მსგავსი გამოცდილება, თუმცა ამ შემთხვევებში ყოველთვისაა დაცული როგორც ავტორის, ისე გამომცემლობის საავტორო უფლებები და ჰონორარიც შრომის ადეკვატურია.

ნაწარმოებთა სხვადასხვა სახით გამოყენებამდე, როგორც წესი, ხდება ორმხრივი მოლაპარაკება მსურველსა და ნაწარმოების ავტორის (კომპოზიტორის, მხატვრის და ა. შ.) პროდიუსერს/აგენტს შორის. მწერლებისა და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორების საავტორო უფლებათა თანამფლობელები ხშირ შემთხვევებში, როგორც ვიცით, გამომცემლები არიან. ასეთი ტიპის ტანდემი მთელ მსოფლიოში ერთად აღწევს წარმატებას და თანაარსებობს.

ჩვენ ვგმობთ საავტორო უფლების დარღვევის ნებისმიერ გამოვლენას და მოვუწოდებთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომ ეს მართლაც კეთილშობილური მიზანი განახორციელოს ისე, რომ არ დაირღვეს სახელმძღვანელოების ავტორთა და გამომცემელთა ინტელექტუალური საკუთრების უფლება.“ წერილს ხელს აწერენ ოთარ იოსელიანი, დავით საყვარელიძე, ნუნუ გაბუნია, ნიკოლოზ რაჭველი, მერაბ სანოძე, ნინო ქათამაძე, ლიზა ბათიაშვილი, გიორგი გაგნიძე, ანიტა რაჭველიშვილი, მადინა სერებრიაკოვა, ნინო სურგულაძე, ხატია ბუნიათიშვილი, რამაზ ჩიკვილაძე, თამაზ ვარვარიძე, სოფიო კინწურაშვილი, გუგა კოტეტიშვილი, ნესტან ვარდიაშვილი, ოლეგ ტიმჩენკო, ირაკლი გედენიძე, იური მეჩითოვი, ირმა შარიქაძე, გოგა ჩანადირი, გურამ წიბახაშვილი, ბაია დვალიშვილი, აკაკი ხიდაშელი, ირინა პოპიაშვილი, ვატო წერეთელი.

სოლიმდარობა გამოუცხადეს ქართველ გამომცემლებს მეცნიერებმაც:

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილება, რომელიც მოსწავლეებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების სრულიად უსასყიდლოდ გადაცემას ითვალისწინებს, ძალზე მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ აუცილებელია მომავალი თაობის ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდის საქმეში. ასევე აღსანიშნავია, რომ ეს აქცია საჯარო სკოლების უკლებლივ ყველა მოსწავლეს შეეხება, რაც არ გამოიწვევს მოსწავლეების სოციალური ნიშნით დაყოფას.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამომცემლები და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები მოსწავლეებთან ერთად ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან და მიგვაჩნია, რომ სამინისტროს ინიციატივა მათი ინტელექტუალური და კერძო საკუთრების ხელყოფის საფუძველზე არ უნდა განხორციელდეს.

გამომცემელთა და ავტორთა ინტელექტუალურ საკუთრებაში უხეში ჩარევა დააზარალებს არა მხოლოდ ცალკეულ გამომცემლობებს, არამედ ზოგადად საგამომცემლო საქმიანობას საქართველოში, რომელიც, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში აღმასვლის გზას დაადგა და უდაოდ მოიპოვა ლიდერის როლი მთელს რეგიონში. მაშინ, როცა საქართველოში წიგნიერების დონე მნიშვნელოვნად დაეცა, ვფიქრობთ, რომ საგამომცემლო საქმიანობას უფრო მეტი წახალისება სჭირდება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გაუთვალისწინებლად, სამინისტროს ამ ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში გამომცემლებთან ერთად დავზარალდებით მეცნიერებიც, რადგან დამოუკიდებელი გამომცემლობები ხელს უწყობენ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროექტების განხორციელებას, რისი დაფინანსებაც ხშირად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვერ ხერხდება. ასე რომ, საგამომცემლო სფეროს ხელყოფა მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებს მეცნიერებასაც, რომ არაფერი ვთქვათ უმუშევართა ახალ ტალღაზე, ამჟამად გამომცემლობებში დასაქმებული ადამიანების სახით, რაც მძიმე ტვირთად დააწვება როგორც მათ ოჯახებს, ისე ზოგადად ქართულ საზოგადოებას.

მნიშვნელოვანია სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორთა საკითხიც, რომელთა მოტივაცია რამდენიმე ათეულჯერ შემცირებული ჰონორარების პირობებში მნიშვნელოვნად დაეცემა და შესაბამისად დაეცემა კონკურენტული გარემო სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში, რაც უდაოდ აისახება შესაბამისი სასწავლო რესურსების ხარისხზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი სახელმწიფოს წინსვლისთვის ბიზნესის განვითარება და ხელშეწყობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, სამართლიანი პოლიტიკის გატარება კი უმთავრესი – წლების მანძილზე ჩვენს საზოგადოებაში გამეფებული უსამართლობის განცდის აღმოსაფხვრელად. ამიტომ მოვუწოდებთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაიწყოს დიალოგი გამომცემლებთან და ავტორებთან, რომლებსაც არაერთხელ დაუფიქსირებიათ, რომ მზად არიან გვერდში დაუდგნენ სახელმწიფოს ყოველ მნიშვნელოვან წამოწყებაში“. წერილს ხელს აწერენ ავთანდილ არაბული, ნომადი ბართაია, შალვა გლოველი, რუსუდან დაუშვილი, ლალი ეზუგბაია, გოგი კაციტაძე, დოდონა კიზირია, ანა კლდიაშვილი, მირიან მახარაძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, დავით მუსხელიშვილი, ჯემალ როგავა, გოჩა საითიძე, მანანა სანაძე, გიორგი სანიკიძე, მზია

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

ვაჟა ტაბატაძეს თამაზ კოსტავას აღარებენ

საქართველოში ძალზე იშვიათია ისეთი უნივერსალური ფეხბურთელი, რომელიც დაცვისა და ნახევარდაცვის პოზიციებზე თამაშს გაართმევს თავს. ასეთი უნარი ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელს ვაჟა ტაბატაძეს აღმოაჩნდა. იგი ქუთაისურ გუნდში 2 წლის წინ ჩაირიცხა. თავიდან, საკმაო ხანი დუბლშემადგენლობაში გამოდიოდა, რის შემდეგაც ღირსეულად დააწინაურეს და პირველ გუნდში გადაიყვანეს. ვაჟამ აქაც გამოიჩინა თავი და გასული სეზონის მეორე ნახევრიდან „ტორპედოს“ ძირითად შემადგენლობაში უცვლელად დაიმკვიდრა ადგილი. ჟინი არ აკლია და „მუშა“ ფეხბურთელიც გახლავთ. იგი მცირე ხანში ისე საოცრად მოერგო გუნდს, რომ ყველა რგოლში მოთამაშეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წერტილი იყო. 22 წლის ნიჭიერი ფეხბურთელი პიროვნული თვისებებითაც გამორჩეულია.

მისი ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– თავიდან საკუთარი კარიერის პირველ ნაბიჯებზე გვითხარი.

– 15 წლის ვიყავი, როცა ქუთაისის საფეხბურთო სკოლა „იმედში“ შემიყვანეს, იქ ჩემი მწვრთნელები თენგო ხელაძე და დავით ჩხაბერიძე იყვნენ. შემდეგ ზესტაფონში წავედი, სადაც ზურაბ ბოჭორიშვილის თავკაცობით ერთი სეზონი პირველ ლიგაში ვთამაშობდი, იქედან მოყოლებული კი „ტორპედოში“ ვარ.

– „ტორპედოში“ დიდხანს ცდილობდი დამკვიდრებას, კარგი ნებისყოფა გქონია.

– მიუხედავად იმისა, რომ ხარაგაულის „ჩხერიმელაში“ ვიყავი განათხოვრებული, მიმაჩნია, რომ ის პერიოდი კარგად გამომადგა. უფრო მეტად მოვინდომე და პირველ ლიგაში თამაშის ხარისხი გავიუმჯობესე. აქ დაბრუნების შემდეგ კი ფორმა არ დამიკარგავს და ამან შედეგიც გამოიღო.

– რას ნიშნავს შენთვის ამ გუნდში თამაში და ქუთაისელი გულშემატკივრების როლზე რას იტყვი?

– ბავშვობიდან ვოცნებობდი ჩემი ქალაქის გუნდში მეთამაშა. მოხარული ვარ, რომ დღეს აქ ვარ და დიდი პასუხისმგებლობაც მაკისრია. გამიმართლა, რომ პროფესიონალური კარიერის დაწყებისთანავე ასეთი გულშემატკივრების წინაშე ვთამაშობ. ისინი სულ გვერდში გვიდგანან, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მადლობის მეტი რა გვეთქმის.

– ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სამახსოვრო მატჩი შენთვის გორში იყო, როცა გია გეგუჩაძემ სეზონში პირველად და თანაც ისეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში ძირითადში დაგაყენა, მწვრთნელს იმედები გაუმართლე, იმ დღეს მართლაც არაფერი დაგეწუნებოდა.

– რა თქმა უნდა, ველოდებოდი ძირითად შემადგენლობაში დაყენების შანსს და ეს მივიღე კიდეც. მარცხენა მცველად გამამწესეს და საკმაოდ კარგი თამაში გამომივიდა. უფრო სასიხარულო იყო, რომ გუნდმა სამი ქულა აიღო. იქედან მოყოლებული ნდობა გამომიცხადეს. გარდა ამ თამაშისა, ჩემთვის გამორჩეულად სამახსოვრო იყო: საჩხერის „ჩიხურასა“(0:0) და თბილისის „დინამოსთან“(1:1) გამართული ქუთაისური მატჩები.

– ვხედავთ, რომ ბევრ პოზიციაზე თამაში შეგიძლია, განსაკუთრებით საყვარელი რომელია შენთვის?

– პირველ რიგში, სადაც მწვრთნელი დამაყენებს, რა თქმა უნდა, იქედან შევეცდები მაქსიმუმის გაკეთებას, თუმცა ყველაზე კომფორტულად თავს მარჯვენა მცველის პოზიციაზე ვგრძნობ.

– თამაშის მანერით ლეგენდარულ თამაზ კოსტავას გამგვანებენ, გაგიგონია მის შესახებ?

– ვიცი, რომ ის რამდენიმე სეზონის განმავლობაში ქუთაისის „ტორპედოში“ მარჯვენა მცველად წარმატებით ასპარეზობდა. ძალიან სასიამოვნოა, ასეთ დიდ ფეხბურთელს თუ მამგვანებენ.

– „ტორპედოსთან“ როდემდე გაქვს კონტრაქტი?

– მოქმედი ხელშეკრულება 2013 წლის 1 სექტემბრამდეა, თუმცა მოლაპარაკებები დაწყებულია გაგრძელების თაობაზე.

– წინ ევროპის ლიგაა, როგორ ფიქრობ, რა შანსები აქვს „ტორპედოს“?

– მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვიცი, ჩვენი გუნდის შემადგენლობა კიდევ უფრო უნდა გაახალგაზრდავდეს. ჩამოსაწერები ნამდვილად არ ვიქნებით, მწამს, რომ მინიმუმ ორი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვას შევძლებთ.

– საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებ? რა ნაკლს ხედავ შენს თავში ან რა საფეხბურთო კომპონენტი გაკლია?

– საერთო ჯამში, გასულ სეზონში, ალბათ, ცუდად არ გამოვიყურებოდი, პროგრესი აუცილებლად უნდა გავაგრძელო. ვფიქრობ, პირველ რიგში, გამოცდილება მაკლია, რასაც იმედი მაქვს, თანდათან მივიღებ. რაც შეეხება ნაკლს, ჩემს თავში ერთს ვხედავ, რომ შეტევაში ზედმეტად ვჩქარობ და ამის გამოსწორებასაც ვცდილობ.

– უმაღლეს ლიგას საკმაოდ კარგად შეეჩვიე, ადვილი არ იქნებოდა.

– რა თქმა უნდა, ძნელია აქ სასურველი თამაშის ჩვენება. ყველა გუნდი ბრძოლისუნარიანია და ისეთ ფეხბურთელსაც ძნელად ნახავთ, რომელიც ბოლომდე არ იხარჯება. აქ იოლად არაფერს თმობენ. საკმაოდ უშეღავათო და დაძაბულია ჩვენი ჩემპიონატი.

– რა არის შენი ყველაზე დიდი ნატვრა, რომელიც ფეხბურთს უკავშირდება?

– ჩემი ნატვრა საქართველოს ნაკრებში დიდი ფეხბურთის თამაშია. რა თქმა უნდა, თუ ქვეყნის ღირსების დაცვის შანსიც მომეცა, ეს დიდი გამოწვევა იქნება და არაფერს დავიშურებ, რომ ჩემი ქვეყანა ვასახელო.

ტორპედოში ცვლილებებია: გეგუჩაძე წავიდა, ვისოლი ბედს ახალგაზრდებს ანდობს

გია გეგუჩაძე ქუთაისის „ტორპედოს“ აღარ გაწვრთნის. ამის შესახებ „ვისოლის“ სათავო ოფისში შეკრებილ ჟურნალისტებს კლუბის პრეზიდენტმა ლევან ფხაკაძემ განუცხადა. მან მედიის წარმომადგენლებთან განვლილი სეზონი შეაჯამა და გუნდის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. ლევან ფხაკაძის თქმით, „ტორპედოს“ ახალგაზრდა, წარმატებული ფეხბურთელები და ესპანელი მწვრთნელები შემოუერთდებიან. კონკრეტულად კი ქუთაისურ გუნდს „ლოკომოტივის“ ახალგაზრდა ფეხბურთელები გააძლიერებენ.

ლევან ფხაკაძე:

– განვლილი სეზონი გუნდისთვის წარმატებული იყო, საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილი დავიკავეთ, თუმცა გუნდის კიდევ უფრო გაახალგაზრდავება დავისახეთ მიზნად. კლუბის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 22 წლამდე იქნება, რაც იდეალური ასაკია მნიშვნელოვანი მიღწევებისთვის. „ტორპედოს“ შემოუერთდებიან 2012 წელს სლოვენიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში (17-წლამდე ნაკრები) მონაწილე ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებმაც პირველად საქართველოს ისტორიაში ნახევარფინალამდე მიიყვანეს გუნდი. ამჟამად ისინი თბილისის „ლოკომოტივისა“ და გორის „დილას“ ფეხბურთელები არიან. გუნდის განვითარებაზე ამიერიდან საერთაშორისო გამოცდილების მქონე ესპანელი მწვრთნელები – ჟერარდ სარაგოსა მულეტი და ალბერტო ბეროკალ კორეა იზრუნებენ.

ლევან ფხაკაძემ გია გეგუჩაძეს მადლობა გადაუხადა თითოეული ეპიზოდისთვის, რომელიც ტორპედოს აწ უკვე ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა გუნდთან ერთად გაატარა. მისივე თქმით, „ტორპედოს“12-13 ახალი ფეხბურთელი შეუერთდება, მათი წარდგენა კი, ქუთაისში, სავარაუდოდ, 15 ივნისისთვის გაიმართება.

– გიას და მის გუნდს, გურამ ასპინძელაშვილს და დათო ჯანელიძეს წარმატება მინდა ვუსურვო. „ტორპედოს“ უახლოესი გეგმებია კი ასეთია – ორ კვირაში, ქუთაისში ახალი ფეხბურთელების წარდგენას მოვაწყობთ. შემდეგ მოკლე შეკრება გვექნება და მოვემზადებით ევროთასებისთვის.

– ევროთასების წინ ასეთი ცვლილებები როგორ აისახება გუნდზე?

– უკვე აღვნიშნე, რომ ის გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებზეც აქამდე იდგა „ტორპედო“, გუნდში დარჩებიან. ხოლო ახალი ძალა, ახალგაზრდა ფეხბურთელების სახით, ახალ ენერგიასა და ძალას შეგვმატებენ. უფრო მეტად გვექნება შანსი, რომ წარმატებას მივაღწიოთ.

– ეს გარკვეულწილად რისკი არ არის?

– ჩვენ ვიფიქრეთ ამ საკითხზე

და მივედით დასკვნამდე, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რისკები მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი. „ლოკომოტივი“ პირველ ლიგაში მეორე ადგილზე გავიდა. რა შესაძლებლობებიც მათ ჰქონდათ, იმის მიხედვით საუკეთესო თამაში აჩვენეს. ვფიქრობ, რომ მათ შედეგი დადეს.

– ესპანელმა მწვრთნელმა ვერ გაამართლა თბილისის „დინამოში“?

– ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ უცხოელი მწვრთნელი მოიტანს წარმატებას. ნებისმიერ გადაწყვეტილებას ახლავს რისკი, ამ შემთხვევაში რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი. ესპანელ მწვრთნელებს, რომლებიც „ტორპედოში“ იმუშავებენ, საერთაშორისო გამოცდილება აქვთ.

– რას იტყვით ბოლო დროს აქტუალურ თემაზე, რომელიც კლუბების სახელმწიფო დაფინანსებას შეეხება?

– ამ საკითხზე მე პროექტი მქონდა მომზადებული, რომელიც ყველა კლუბის კერძო მეპატრონისთვის გადაცემას ითვალისწინებდა, რათა გარემო კონკურენტუნარიანი გამხდარიყო და ბიზნესი მეტად ჩართულიყო ამ პროცესში. მაგრამ ამის განხორციელება რეგიონებში კლუბების არსებობას შეუქმნიდა საფრთხეს, რადგან რომ არა სახელმწიფოს დახმარება, ბევრი კლუბი აღარ იარსებებდა. ამიტომ, უნდა თუ არა სახელმწიფოს, მაინც უნდა გაუწიოს მათ დახმარება. თუმცა, მიმაჩნია, რომ ბიზნესი უნდა დაინტერესდეს კლუბებით. „ვისოლმა“ გადადგა ეს ნაბიჯი, თბილისის „დინამოს“ კერძო კომპანია ფლობს. ნელ-ნელა უნდა დავაინტერესოთ კერძო ბიზნესი“.

გია გეგუჩაძე:

– მადლობა მინდა გადავუხადო „ტორპედოს“ გულშემატკივრებს. შეიძლება გულში ხინჯად დარჩეთ მათ, რომ ჩვენი დანაპირები ბოლომდე ვერ შევასრულეთ. მივესალმები კიდეც ამ ცვლილებებს, სულით და გულით მინდა წარმატება ვუსურვო ამ გუნდს. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ჩვენს გვერდით მუშაობდნენ ამ წლების განმავლობაში. ფანკლუბი ცალკე მინდა გამოვყო, წვიმასა და ქარში ჩვენთან იყვნენ. საკმაოდ კარგი პერიოდი გამოვიარეთ „ტორპედოსთან“ ერთად, მეტი გამოცდილება შევიძინეთ. ამ ეტაპზე კონკრეტული შემოთავაზება არ მაქვს. დასვენებას ვაპირებ. მერე ვნახოთ, რა იქნება“.

როგორც უკვე ითქვა, „ტორპედოს“ მომავალი სეზონიდან, თბილისის „ლოკომოტივის“ ამჟამინდელი მწვრთნელი, ჟერარდ სარაგოსა მულეტე გაწვრთნის.

ვინ არის ჟერარდ სარაგოსა მულეტე?! ის საქართველოში „ლოკომოტივის“ ფიზმომზადების მწვრთნელის ალბერტო ბეროკალ კორეას რეკომენდაციით მოიწვიეს.

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, იგი „ლოკომოტივში“ დანიშვნამდე მოლაპარაკებებს „ტორპედოსთან“ აწარმოებდა. ჟერარდ სარაგოსა მულეტეს „ტორპედოს“ დუბლების გაწვრთნა სურდა, რასაც ხელი გია გეგუჩაძემ შეუშალა. თუმცა ის საქართველოში უმუშევრად მაინც არ დარჩა. ლექსო თოფურიას მოხიბვლა ადვილად შეძლო და „რკინიგზელთა“ მწვრთნელი გელა სანაია ჩაანაცვლა.

ჟერარდ სარაგოსა 30 წლისა, თუმცა 8 წელი ყატარში სკაუტად და მწვრთნელად მუშაობდა.

ასევე ცნობილი გახდა, რომ „ტორპედოს“ რიგებს გრიგოლ დოლიძე, გიორგი დათუნაშვილი და გიორგი ბერიაშვილი დატოვებენ. არ არის გამორიცხული, მათ კიდევ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაემატოს.

უეფა მხოლოდ ქალებს აერთიანებს

როგორც აქამდე იყო ცნობილი, უეფას აღმასკომმა გადაწყვეტილება მიიღო შექმნილიყო სპეციალური ჯგუფი, რომელიც ერთიანი ჩემპიონატების ჩატარების მიზანშეწონილობას შეისწავლიდა, თუმცა მათი საქმიანობის სფერო მხოლოდ ქალთა ფეხბურთი იქნება. გაერთიანებულ ჩემპიონატებთან დაკავშირებით უეფას პოზიცია კვლავ უცვლელია.

– ამ ჯგუფის შექმნის მიზეზი კი მხოლოდ ქალთა ფეხბურთში წამოჭრილი მსგავსი საკითხების შესწავლა-მოგვარებაა, – განუცხადა „ინტერფაქსს“ უეფას პრესსამსახურმა. შეგახსენებთ, რომ გაერთიანებული პირველობების ჩატარების საკითხი, კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა და უკრაინამ ამ იდეის განხორციელების შესახებ უეფას მიმართეს.

სფფ-ს პრეზიდენტმა საქართველოს, ყაზახეთის და აზერბაიჯანის გაერთიანებული ჩემპიონატის შესახებაც განაცხადა, თუმცა, როგორც აქედანვე ჩანს, არც უეფა და არც ფიფა ასეთი პრეცედენტის დაშვებას არ აპირებს.

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა – პიერ ოფი

კრ.პალასი-უოტფორდი ..... 1:0(დდ)

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ვილიარეალი-ხერესი 3:2

გერმანია. ბუნდესლიგა – პიერ აუტი

კაიზერი-ჰოფენჰაიმი 1:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ზაგლებიე-პოლონია 0:0

არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

სარანდი-ტიგრე 3:2

სან ლორენცო-უნიონი 4:2

ესტუდიანტესი-არხენტინოსი 0:0

კალათბურთი

ნბა. პიერ ოფი

მემფისი-სან ანტონიო 86:93

სერიის ანგარიში: 0:4

ჩოგბურთი

ოლიან გაროსი

კაცები

ფონინი-ბეკი 6:3;7:5;6:3

მონაკო-ხიმენო ტრავერი 6:4;6:4;6:7;4:6;4:6

გულბისი-დუტრა 6:1;7:6;6:3

გასკე-სტახოვსკი 6:1;6:4;6:3

ჰასე-დე სპეპერი 6:4;7;6;2:6;6:3

ბერდიხი-მონფილსი 6:7;4:6;7:6;7:6;5:7

ბერლოკი-ისნერი 3:6;4:6;4;6

მონტანესი-ჯონსონი 6:4;3;6;6:3;3:6;6:1

პრისეჟნი-უილიამსი 6:3;6:7;7:5;7:5

რამოსი-იანოვიჩი 6:7;5;7;3:6

ქალები

კერბერი-ბარტელი 7:6;6:2

რიბარიკოვა-პარმენტიე 6:0;6:1

ჩჟენი-დოლონცი 6:4;6:1

კუზნეცოვა-მაკაროვა..... 6:4;6:2

მურუგუსა-პლიშკოვა 4:6;7:5;6:3

სტივენსი-კნაპი 6:2;7:5

პირონკოვა-ბუშარი 1:6;6:74

ორმაეჩეა-მარია 6:3;4:6;6:0

სკიავონე-ცინკი 6:0;7:6

შარაპოვა-სე 6:2;6:1

პენეტა-ფლიპკენსი..... 6:2;4:6;0:6

ჰოკეი

ნჰლ. პიერ ოფი

დეტროიტი-ჩიკაგო 3:4

სერიის ანგარიში: 3:3

მარკოიშვილი და ცინცაძე ისევ ჩემპიონობისკენ მიიწევენ

თურქეთის ჩემპიონატის ნახევარფინალურ სერიაში წარმატებით ასპარეზობს მანუჩარ მარკოიშილის „გალათასარაი“. სტამბოლელებმა სერიის მეორე შეხვედრაც მოუგეს იზმირის „ქარშიაქას“ და ახლა ფინალში გასვლამდე 1 გამარჯვება აშორებს.

პირველ მატჩში იოლი გამარჯვების შემდეგ „გალას“ მეორე შეხვედრაში შედარებით გაუჭირდა. იზმირელებმა მასპინძლებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. ბოლო მეოთხედის დაწყებამდე „გალათასარაი“ მხოლოდ 4 ქულით იგებდა და გარკვეულიც არაფერი იყო. მასპინძლებმა მოახერხეს ლიდერობის შენარჩუნება და 64:59 იმარჯვეს.

მარკოიშვილმა 24 წუთს ითამაშა, რის განმავლობაშიც 4 ქულა და 1 პასი მიითვალა. ქართველმა უკანახაზელმა 4-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, 4 სამიანი კი ააცილა. სტამბოლელთა შორის 14 ქულით საუკეთესო კარლოს არროიო იყო, ხოლო ბონიფაც ნდონგმა მასპინძლებს 12 ქულა და 8 მოხსნა შესძინა.

სერიის მომდევნო მატჩი 30 მაისს იზმირში გაიმართება. თუკი მასპინძლები მოიგებენ, მომდევნო შეხვედრაც „ქარშიაქას“ მოედანზე, 1 ივნისს ჩატარდება. საჭიროების შემთხვევაში, მე-5, გადამწყვეტ მატჩს 4 ივნისს სტამბოლი უმასპინძლებს.

ასევე 1 მოგება აშორებს ჩემპიონობამდე გიორგი ცინცაძეს. მისმა „ბუდიველნიკმა“ ფინალური სერიის მე-5 შეხვედრაში მარიუპოლის „აზოვმაში“ 89:75 დაამარცხა და სერიაში 3:2 დაწინაურდა.

ცინცაძემ სასტარტო ხუთეულში იყო და მთლიანობაში 26,17 წუთი ითამაშა. ქართველმა გამთამაშებელმა 7-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 სამიანი ჩააგდო, 11 ქულა დააგროვა და ამას მატჩში ყველაზე მეტი – 8 პასი, 4 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაყოლა. მარგი ქმედების კოეფიციენტით ცინცაძე კიეველთაგან მე-2 იყო. ქართველ უკანახაზელზე შედეგიანად არტურ დროზდოვი გაისარჯა, რომელმაც 13 ქულა დააგროვა.

ფინალური სერიის მომდევნო შეხვედრა მარიუპოლში დღეს გაიმართება. თუკი მასპინძლები მოიგებენ, ბოლო, გადამწყვეტ მატჩს კიევი უმასპინძლებს.

მაცარი – ინტერში, ბენიტესი – ნაპოლიში, ჰაინკენსი – კითხვის ნიშნით

რამდენიმე დღის წინ „ნაპოლის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა ვალტერ მაცარიმ, რომელსაც სამუშაოს ძებნა დიდი ხანი არ მოუწია და მილანის „ინტერის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. „ნაპოლის“ მწვრთნელობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი კი რაფაელ ბენიტესი გახლდათ. ნეაპოლიტანელთა პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა საკუთარ ტვიტერზე დაწერა – ბენიტესი „ნაპოლის“ მწვრთნელია, ადამიანი რომელსაც აქვს უდიდესი გამოცდილება.

ბენიტესის ბოლო კლუბი ლონდონის „ჩელსი“ იყო, რომელთან ერთადაც ესპანელმა ევროპის ლიგის მოგება შეძლო. მიუხედავად ამისა, ბენიტესს მაინც მოუხდა ლონდონიდან აბარგება და ამის მთავარი მიზეზი „ჩელსის“ გულშემატკივრების ანტისიმპათია გახლდათ.

ესპანურ და გერმანულ პრესაში კი კვლავ წერენ იმის შესახებ, რომ შესაძლოა, მიუნხენის „ბაიერნიდან“ აბარგების შემდეგ, იუპ ჰაინკესმა მადრიდის „რეალს“ მიაშუროს. ჯერ კიდევ „ბაიერნის“ თავკაცის ესპანელმა აგენტმა ენრიკე რეიესმა თქვა ამასწინათ, თუ ფლორენტინო პერესი დამირეკავს, სიამოვნებით ვუპასუხებო.

მოგვიანებით კი, რეისის კიდევ ერთი განცხადება გავრცელდა, სადაც ამბობს, რომ ჰაინკესს სწორედ „რეალი“ უნდა.

„მარკა“ და „ასი“ წერენ იმის შესახებ, რომ „დონ იუპი“ მადრიდულ გრანდს უახლოვდება, პერესს კი ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია. „კიკერი“ კი ავრცელებს, რომ პირველი შეთანხმება უკვე მიღწეულია და პოტენციურ ახალწვეულებზეც კი ჩამოვარდა სიტყვაო.

რეისმა საინტერესო რამ თქვა:

– ჰაინკესი რომ ბუნდესლიგიდან მიდის, ეს ცხადია და გადაწყვეტილება პერესმა უნდა მიიღოს და არა ჰაინკესმა.

ჰაინკესის გარდა, რომელმაც 1997-98 წლების სეზონში „რეალს“ ლიგა მოაგებინა, შესაძლოა, „რეალში“ დაინიშნოს პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი, რომელსაც პარიზულ გრანდთან კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს.

მოამზადა მიხეილ ყორეყოლიანმა

„ქართული დიასპორის დღეები 2013“ დაიწყო

ეკა ირემაშვილი

„ქართული დიასპორის დღეები 2013“ დაიწყო, რომელიც სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით არის დატვირთული და მისი მასპინძლები კინოთეატრი ამირანი, რუსთაველის თეატრი, კონსერვატორია უმასპინძლებენ.

ქართული დიასპორის დღეებში ყველა ის ქართველი ხელოვანი მიიღებს მონაწილეობას, რომელიც სამშობლოში დაბრუნდა, ან საზღარგარეთ წარმატებით მოღვაწეობს. კულტურული ღონისძიებების პროგრამა მოიცავს კონცერტებს, ფილმების ჩვენებეს, წიგნების პრეზენტაციებს.

„ქართული დიასპორის დღეების“ გახსნაზე ითქვა, რომ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ქართულ დიასპორასთან ურთიერთობის სტრატეგია შეიმუშავა. ღონისძიებების ციკლი ლექსო გელაშვილის დოკუმენტური ფილმის „მიწის სჯულის“ ჩვენებით გაიხსნა. კინოთეატრ „ამირანში“ წარმოდგენილ იქნა არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული ფილმის – რუსუდან გურჩიანის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“.

– ამ შეხვედრის მიზანი არის მცდელობა, იმისა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართული დიასპორა სამშობლოში დაბრუნდეს. რთული სათქმელია, რომ დღეს და ხვალ ჩვენ მოვახერხებთ, რომ ყველა ქართველს შეეძლოს ჩამოსვლა და მუშაობა ჩვენს ქვეყანაში. დღესაც კი უმუშევრობის მაღალი დონეა ჩვენთან და ასე არ გამოვა, რომ ყველა ჩამოვიდეს და ყველას დახვდება სამსახური. ჩვენ უნდა გავაკეთოთ მაქსიმალური, რომ ჩვენ აქ მოვიზიდოთ ინვესტიციები, ახალი სამუშაო ადგილები, რომ შევუქმნათ ჩვენს ქვეყანას განცდა, რომ დაუპურებელი და უმუშევარი არავინ იქნება. ამის ფეხდაფეხ უნდა მოხდეს ჩვენი თანამემამულეების დაბრუნება და ამის მსურველი დიდი უმეტესობაა. უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვნებზე საუბრისას შემიძლია ვთქვა, რომ ამ ადამიანებმა საკუთარი თავი დაიმკვიდრეს უცხოეთში და საქართველოს კულტურის პოპულარიზაციაში დიდ როლს თამაშობენ. ეს ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რომ ამ ადამიანებს აფასებენ, დიდ პატივს სცემენ, ეთაყვანებიან და შესაბამისად, ეს ჩვენთვისაც არის საამაყო, საამაყო იმიტომ, რომ ეს ადამიანები თავის ქვეყანას წარმოაჩენენ. ამის მაგალითია ზაზა მარჯანიშვილი, რომელიც უცხოეთში ცხოვრობდა და საქართველოში დაბრუნდა. ეს არის სასიხარულო შემთხვევა, რომ ასეთი წარმატებული ხელოვანი ბრუნდება სამშობლოში, – განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში კონსტანტინე სურგულაძემ.

ქართული დისპორის დღეების ფარგლებში მინისტრი და სტუმრად მყოფი ქართველი ხელოვანები მართლამდიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს სტუმრობდნენ, სადაც სამინისტროს პრესსასმსახურის განცხადებით, ილია მეორესთან შეხვედრა დაიგეგმა.

სადღესასწაულო პროგრამის ფარგლებში რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში ალექსანდრე კორსანტიას, ვალერიანო გამგებელის, ნანა მირიან-ქავთარაშვილის, გია ონიანის, თამთა ტარიელის, ზაზა მარჯანიშვილის, დავით ციცქიშვილის, ლუკა ოქროსცვარიძის, ხათუნა შავგულიძის, არჩილ ბლუაშვილის, ავთანდილ თოფურიას, ვახო მუსხელის, ქეთევან სირბილაძის, ბენდისა და სიმებიანი კვარტეტის „შფორზანდო“ მონაწილეობით კონცერტი გაიმართა.

კვირეულში აგერთიანებულია სხვა ღონისძიებებიც, მათ შორის, მერაბ მამულაშვილის დოკუმენური ფილმის „ლაზი ვორე“ ჩვენება, ლევან კოღუაშვილის ფილმის „ქალები საქართველოდან“ ფილმის ჩვენება.

29 მაისს მოეწყობა რუსუდან გორგილაძის წიგნის პრეზენტაცია, რომელშიც ქართული კერძების რეცეპტებია გაერთიანებული.

– ეს წიგნი ნამდვილად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რადგან ის ქართული კერძების პოპულარიზებას ემსახურება. ქართული რეცეპტების წიგნი ინგლისურ და გერმანულ ენებზეა შედგენილი, – აღნიშნავს მინისტრი.

ღონისძიებების ფარგლებში კინოთეატრ „ამირანში“ შედგება რეზო ჩხეიძის ერთ-ერთი უკანასკნელი ფილმის „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელის“ პრემიერა, რომელსაც ხათუნა შავგულიძის ლექსების პოეზიის საღამო შეენაცვლება. ამავე საღამოს კონსერვატორიის მცირე დარბაზში ალექსანდრე კორსანტიას, ლუკა ოქროსცვარიშვილისა და დავით ციცქიშვილის მონაწილეობით საფორტეპიანო მუსიკის საღამო გაიმართება, რითაც „ქართული დიასპორის დღეები 2013“ საზეიმოდ დაიხურება.

წიგნის ფესტივალი „პოეზიის ღამით“ დაიხურა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

სურგულაძე, ზაზა სხირტლაძე, ლევან ურუშაძე, ნოდარ შენგელია, ცირა ჩიკვაიძე, მარიამ ჩხარტივშილი, თამილა ცაგარეიშვილი, გიორგი ჭეიშვილი, ბეჟან ხორავა, დავით ხოშტარია, თამაზ ჯოლოგუა, თემო ჯოჯუა.

რა თქმა უნდა, უპირობოდ შედგა გამომცემელთა და ავტორთა სოლიდარობაც. როგორც გამომცემლობა „ლოგოს პრესის“ ხელმძღვანელი ლაშა ბურაია ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს:

„სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები თავიანთი გამომცემლების გვერდით დგანან და მხარს არ უჭერენ განათლების მინისტრის ინიციატივებს. გიორგი მარგველაშვილი შეხვდა ავტორებს მასწავლებელთა დახელოვნების სახლში. ორი დღის განმავლობაში 3-ჯერ დაარეკინეს სამინისტროს თანამშრომლებს ავტორებთან ამ შეხვედრაზე მოწვევით, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა იქნებაო. საბოლოოდ, ამ დახურულ შეხვედრას დასწრებია 7-8 მოქმედი ავტორი, ერთი ამდენი ყოფილი ავტორი (რომელთა წიგნები დღეს გრიფირებული აღარ არის) და ოთახში იყო კიდევ 30-მდე ადამიანი, რომლებიც, სავარაუდოდ მასწავლებელთა სახლის თანმშრომლები იყვნენ და ორგანიზატორებმა ავტორებად გამოაჩინეს. შეხვედრა „ვერ შედგა“, ვნებები ჩქეფდა და მინისტრს ავტორთა პრეტენზიების მოგერიება უწევდა. მინისტრის საუბარი „საკმარისზე მეტ ანაზღაურებაზე“, რომელსაც თითქოსდა ავტორები წელს მიიღებენ, თუკი გამომცემელთა და ავტორთა საკუთრების ექსპროპრიაცია მოხდა, იქ დამსწრე მცირერიცხოვანმა ავტორებმაც კი სერიოზულად ვერ მიიღეს.

ზუსტად იმავე დროს ყოფილი „ენციკლოპედიის“ შენობაში შედგა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა და ავტორთა ერთობლივი პრესკონფერენცია. მას დაესწრო 200-მდე ავტორი, რომლებმაც სრული თანადგომა და სოლიდარობა გამოგვიცხადეს გამომცემლებს. რატომ მოხდა ასე? 1. ავტორები აფასებენ გამომცემლებსა და მათ მიერ სახელმძღვანელოების შექმნისას გაწეულ შრომასა და დახმარებას. ყურადღებას გავამახვილებ ავტორებისა და გამომცემლობის რედაქტორების ნაყოფიერ ურთიერთთანამშრომლობაზე, რომლის გარეშეც სახელმძღვანელო ხარისხიან პროდუქტად ვერ ყალიბდება; ასეა მთელ მსოფლიოში. 2. ავტორები არანაკლებ აღშფოთებულნი არიან იმით, რომ გამომცემლებისთვის ინტელექტუალური საკუთრების ჩამორთმევისა და „ტირაჟის ღირებულების 10%-ის“ საზღაურის მიღების შემთხვევაში, რასაც სამინისტრო ჰპირდებათ, ისინი წელს, საუკეთესო შემთხვევაში, 15-20-ჯერ (ზოგი გათვლით, 40-ჯერ, გააჩნია გამომცემელთან ხელშეკრულებას და მის გაგაზრებას ამ არაორდინალური შემთხვევისთვის) ნაკლებ ჰონორარს მიიღებენ მოსალოდნელთან შედარებით. ეს იქნება „კაპიკები“. ხოლო ბატონი მინისტრი დღეს გამომცემლებს აქეთ აბრალებდა, თითქოს ამ შეხვედრაზე გაეგოს, რომ ისინი (გამომცემლები) უხდიან კაპიკებს ავტორებს. ვინაა მართალი – ზემომოყვანილი სტატისტიკიდანაც კარგად ჩანს.

მინისტრმა ავტორებს შესთავაზა სამომავლო თანამშრომლობა „დაწესებულებებთან“, რომლებსაც სამინისტრო შექმნის. თქვენ მხოლოდ ტექსტს მოგვიტანთ, ხოლო დაკაბადონებას, მხატვრობა-ილუსტრირებას და სხვა რამეებს ჩვენ თვითონ მივხედავთო. ასევე, ჩვენ შენიშვნებს გამოგიგზავნით, თქვენ კი ვალდებული იქნებით, გაითვალისწინოთ და ჩაასწოროთო. ასევე, ჰონორარებითაც კმაყოფილები დარჩებითო. გამოჰკითხეთ ავტორებს (მაინცდამაინც იქ დამსწრე 7-8 მოქმედ ავტორს არ ვგულისხმობ) და დარწმუნდებით, რომ მათ ეს სქემა სასაცილოდ არ ეყოფათ. ბატონი მინისტრი თავიდან იგონებს ველოსიპედს. ასე იყო საბჭოთა კავშირში, არსებობდა სახელმწიფო გამომცემლობა „განათლება“, რომელიც სტანდარტიზებულ, საშინებლი ხარისხის, არაინტერაქტიულ სახელმძღვანელოებს გამოსცემდა, მოსაყოლ-დასაზეპირებელი ტექსტებით, მდარე ილუსტრაციებითა და უინტერესო კონცეფციით. მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში ხარისხიან სახელმძღვანელოებს ქმნიან კერძო გამომცემლობები, სახელმწიფო კი, თუ ყველა მოსწავლის უზრუნველყოფა უნდა, სახელმძღვანელოებს გამომცემლებისგან ყიდულობს. დამისახელეთ, სად ხდება ისე, როგორც ბატონი მინისტრი აპირებს, რომ გააკეთოს, ოღონდ ძალიან ეცადეთ, არაცივლიზებული ქვეყნის მაგალითი არ მომიყვანოთ.

აღსანიშნავია, რომ, გადმოცემის თანახმად, მინისტრის ნათქვამში მთლად ნათელი არ იყო, აპირებს თუ არა სამინისტრო ალტერნატიული სახელმძღვანელოების შექმნას და საბაზრო შეჯიბრებითობის პრინციპის შენარჩუნებას. თუ აპირებს, როგორ წარმოუდგენია ერთი ან რამდენიმე „დაწესებულების“ ისე შეჯიბრება ერთმანეთისთვის, როგორც ეს გამომცემლობების შემთხვევაში ბუნებრივად ხდება – განსხვავებული ავტორთა ჯგუფებისა და მათი გამომცემლობების მიერ შემუშავებული განსხვავებული კონცეფციების საფუძველზე. ასეთი რამ, ერთი ჩინოვნიკის ხელმძღვანელობით თითქმის წარმოუდგენელია და რომც გაკეთდეს, ეს შეჯიბრებითობა ხელოვნური იქნება. ხოლო თუ სამინისტრო აღარ აპირებს ასეთი რამის გაკეთებას, მაშინ გამოდის, რომ მინისტრი დღეს ხვდება ერთი და იმავე საგნის რამდენიმე კონკურენტ ავტორს და ისინი შეცდომაში შეჰყავს: თუ მათგან მხოლოდ ერთს აარჩევენ უალტერნატივო სახელმძღვანელოს დასაწერად, დანარჩენებისადმი დღეს გაკეთებული დაპირება ხომ ფუჭია! ან იქნებ ყველა მათგანს დააკმაყოფილებს და რამდენი მსურველი ავტორიც იქნება, იმდენი ალტერნატიული სახელმძღვანელოს შექმნას უზრუნველყოფს? ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ ეს საკითხი დღეს გაუაზრებელია და მინისტრი ავტორებს მომავალი სქემის კონტურებზე ესაუბრება.

საქართველომ მამაცი გულები 9 კაცით დაამარცხა

შოტლანდია – საქართველო 1:3

0:1 კაჭარავა (28), 0:2 ზივზივაძე (66), 0:3 ენდელაძე (72), 1:3 ფრეზერი (76)

შოტლანდია: ჰამილტონი, ოჰარა, გრიმერი, ფინდლი, კინგსლი (გაულდი 75), ლინდსი (მაკმანუსი 60), კენედი (კინგი 86), მაქლეოდი, ჰერონი, ფრეზერი, ბეკი

საქართველო: თებიძე, მთივლიშვილი, დვალი, სანდოხაძე, უბილავა, ენდელაძე, მარკოზაშვილი, არაბული (კაპ), კაჭარავა (გეგეჭკორი 45), ცნობილაძე (ჭანტურია 61), ზივზივაძე (გურეშიძე 81)

გაძევება: მთივლიშვილი (43), არაბული (58)

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა ელიტრაუნდის მეორე მატჩში საოცარ, უკომპრომისო და დაძაბულ ბრძოლაში შოტლანდიის ნაკრები 9-კაციანი შემადგენლობით დაამარცხა და ბოლო მატჩს დიდი იმედებით ელოდება.

მატჩი ორმხრივ შეტევებში დაიწყო. დასაწყისშივე ურტყამდნენ კარის მიმართულებით ნიკა სანდოხაძე, ბუდუ ზივზივაძე, თემურ მარკოზაშვილი. შემდეგ, დაჩი ცნობილაძემ ძელს გაარტყა ბურთი. ანგარიში კი, 28-ე წუთზე ნიკა კაჭარავამ გახსნა. პირველ ტაიმში მეტი გოლი აღარ გასულა და გუნდები შესვენებაზე ასე გავიდნენ.

მთავარი და დრამატული მოვლენები მეორე ტაიმში განვითარდა. გუნდებმა უხეშობას უმატეს და მატჩის ესპანელმა არბიტრმაც უხვად არიგა ყვითელ-წითელი ბარათები. თუმცა, მანამდე, 43-ე წუთზე ჩვენი გუნდი უკვე კაცნაკლული იყო დავით მთივლიშვილის გაძევების გამო. 54-ე წუთზე, მსაჯმა ჩვენს კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა და მეტოქეს წონასწორობის აღდგენის შესანიშნავი შანსი მიეცა. თუმცა, გაბრიელ თებიძემ მარკ ბეკს ეგ შანსიც მოუსპო – ქართველთა მეკარემ დარტყმა მოიგერია და თანაგუნდელებს ამით ძალები კიდევ უფრო შემატა.

58-ე წუთზე კი, არბიტრმა ქართველთა კაპიტანი – ბაჩანა არაბულიც მთივლიშვილის გზას გაუყენა და სიტუაცია თითქოს გამოუვალი და ურთულესი ჩანდა. მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო თუ დაიწყო და 66-ე წუთზე ჯერ ბუდუ ზივზივაძემ აიღო შოტლანდიელთა კარი, შემდეგ კი, 72-ე წუთზე, ავთო ენდელაძემ მესამე ბურთიც გაუტანა სქოთებს და 9 კაცით მოთამაშე ქართველებმა აბსოლუტურად უიმედო მდგომარეობაში ჩააგდეს მეტოქე. შოტლანდიელებმა ერთი ბურთის გაქვითვა 76-ე წუთზე მოახერხეს, თუმცა, ცხადია, რომ ეს მათ ვერ უშველიდა.

3:1 და გია ცეცაძის მებრძოლმა გუნდმა წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა... ნაბიჯი ევროპის ჩემპიონატისკენ. ორ ტურის შემდეგ, 4 ქულით საქართველოს ნაკრები ჯგუფის პირველ ადგილზეა.

ცალკე თემაა ამ მატჩში მსაჯების მოქმედებები. ყველაფერზე მეტყველებს გაფრთხილებებისა და გაძევებების რაოდენობა – 11 ყვითელი და 2 წითელი ბარათი. აქედან, 7 ყვითელი ქართველმა ფეხბურთელებმა მიიღეს და ჩვენი ორი მოთამაშე გააძევეს. ესპანელმა მსაჯმა, ფაქტიურად, სათადარიგოთა სკამის გარეშე დაგვტოვა....

სამწუხაროა, რომ ბოლო, გადამწყვეტ ტურში, ბელგიის წინააღმდეგ ბაჩანა არაბული, დავით მთივლიშვილი, თემურ მარკოზაშვილი, ავთო ენდელაძე და ნიკა კაჭარავა დაგვაკლდებიან, რაც მართლაც სერიოზული დანაკლისია. ამასთან, უეფას გადაწყვეტილებით, გუნდებს განაცხადში მხოლოდ 18 ფეხბურთელის შეყვანის უფლება აქვთ. აქედან გამომდინარე, საქართველოს ნაკრებს სათადარიგოთა სკამზე 2 ფეხბურთელი რჩებათ – მეკარე და სამუშია. ცხადია, ასეთ მდგომარეობაში მასპინძლების წინააღმდეგ თამაში რთული იქნება, თუმცა, დავიტოვოთ იმედი, რომ გია ცეცაძეს რეზერვში, საგანგებოდ ბელგიელთათვის შემონახული სიურპრიზები აუცილებლად ექნება და საქართველოს 19-წლამდე ნაკრები შეძლებს სანუკვარი მიზნის მიღწევას.

ჩვენს მოტივაციას ათმაგად ისიც ზრდის, რომ მოგვიანებით გამართულ მეორე მატჩში, ინგლისსა და ბელგიას შორის ფრე – 1:1 დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ ბელგიელთა მოგება ხელს უფრო გვაძლევდა, ნებისმიერ შემთხვევაში, ბოლო მატჩში ჩვენს გამარჯვებაზე ვართ დამოკიდებული. თუ მატჩი ფრედ დასრულდება, ბელგიელებს მაინც ვაჯობებთ. მაგრამ თუ ინგლისმა შოტლანდიას დიდი სხვაობით მოუგო, ამ შემთხვევაში ისინი გადაგვისწრებენ. იმედი გვაქვს, ქართველი ახალგაზრდები დაწყებულ საქმეს ბოლომდე ღირსეულად მიიყვანენ და გამარჯვებისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოლებენ.

მ. ჟ.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ნედლი თევზისგან დამზადებული იაპონური კერძი; 2. რაიონული ცენტრი რაჭაში; 3. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 4. მუსიკალური გამის მეშვიდე ბგერა; 5. ბიზნესი, სავაჭრო საქმიანობა; 6. ფიჯის დედაქალაქი; 7. წყალსაცავი მდინარე არაგვზე; 10. მტვერსასრუტის გამომგონებელი ინგლისელი ინჟინერი; 11. უბანი ქუთაისში; 12. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 13. პატარა ტანის ცხენი; 16. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 18. ქუჩის ძველი ქართული სახელწოდება; 19. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 21. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 24. ფულის ერთეული პაკისტანში.

თარაზულად: 1. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად; 3. შემაგრებული ესპანური ღვინო; 8. აჭარული ცეკვა; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 14. მოქანდაკის ხის საჭრელი; 15. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 20. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 22. მონასტერი ოჩამჩირეს რაიონში; 23. მშიშარა მხდალი ადამიანი; 25. სახოტბო ლექსი; 26. ფრანგი მეზღაპრე; 27. ლობიოს მსგავსი, ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 28. ბავშვთა დაავადებების შემსწავლელი მედიცინის დარგი.

შეადგინა თ.ფოფინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დუნსტი; 2. რუბიკი; 3. მზისა; 5. არვე; 6. რობენი; 8. ოლდემი; 11. პანკრეასი; 13. გრეგორი; 14. ბედუინი; 15. პარხალი; 19. ლუდი.

თარაზულად: 1. დეიტერიუმი; 4. გუდაური; 7. ნაირობი; 9. სტალონე; 10. „ოპეკი“; 12. „აბერდინი“; 16. ვიქტორია; 17. თეორემა; 18. „თურაშაული“; 20. „სალხინო“; 21. ჯიპი; 22. მელქიორი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყადი; 2. ახო; 3. ლილახანა; 4. რუ; 5. ასკურავა; 6. „ნანა“; 7. კამბუზი; 10. ყავა; 11. მაკედონია; 12. ბარაკონი; 13. ლისი; 16. არაგვი; 18. არქაიკა; 19. მდოგვი; 21. რენტა; 24. დერბი.

თარაზულად: 1. ყეენობა; 3. ლაზერი; 8. ასკანა; 9. დუყი; 14. კვირა; 15. მიზერი; 17. რემა; 20. ნადური; 22. ვერძი; 23. დეკადა; 25. ბრა; 26. გუნო; 27. დაბა; 28. რეგისტანი.

ყურადღება!

ა.წ. 21 ივნისს, დღის 12 საათზე, ტარდება ს.ს. „თბილისის ცენტრალური ა/ვაგზლის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. **წლიური ბალანსის განხილვა;**
2. **სხვადასხვა.**

ადმინისტრაცია

აფხაზეთის აღმოსავლეთ რაიონებში პასპორტების გაცემა შეჩერებულია

ოკუპირებულ აფხაზეთში საპასპორტო ბატალიებს სტატიას უძღვნის „კავკაზსკი უზელი“. მასალას შემოკლებით გთავაზობთ:

– ოპოზიციის მოთხოვნით, გალის და ტყვარჩელის რაიონებში ნაციონალური პასპორტების გაცემა შეჩერებულია. გამონაკლისნი შეიძლება იყვნენ სკოლადამთავრებულები, რომლებიც ადგილობრივ უმაღლესებში აბარებენ და რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წვევამდელები, იტყობინება „კავკაზსკი უზელის“ კორესპონდენტი.

პასპორტების გაცემის შეჩერებაზე გადაწყვეტილება მიიღო სახელმწიფო კომისიამ, რომელსაც ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ ლოგუა ხელმძღვანელობს. ეს კომისია 7 მაისს პრეზიდენტმა ანქვაბმა შექმნა აფხაზური ოპოზიციის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ აღმოსავლეთი ნაწილის ქართულ მოსახლეობას ქვეყნის მოქალაქეობა საკანონმდებლო პროცედურების დარღვევით მიენიჭა.

აფხაზეთის შსს-ს საპასპორტო-სავიზო სამსახურის მონაცემებით, 2008 წლიდან გალის რაიონში ქართული ეროვნების პირებზე 16 096 პასპორტი გაიცა, ტყვარჩელში – 6217, ოჩამჩირეში – 2453.

„აფხაზეთის მოქალაქეობის შესახებ“ კანონის მეხუთე მუხლის „ა“, „ბ“ და „ვ“ პუნქტების თანახმად, აფხაზეთის მოქალაქეები არიან აფხაზური ეროვნების პირები (აბაზა), მათი საცხოვრებელი ადგილისა და უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობის მიუხედავად; ასევე პირები, რომლებიც 1999 წლის 12 ოქტომბერს დამოუკიდებლობის აქტის მიღებიდან არანაკლებ ხუთი წელი მუდმივად ცხოვრობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე; ასევე პირები, რომლებმაც „მოქალაქეობის შესახებ“ მოქმედი კანონის შესაბამისად მოქალაქეობა მიიღეს.

ოპოზიციური პარტია „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“ აზრით, ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი არ შეიძლება იყოს აფხაზეთის მოქალაქე ერთ-ერთი პუნქტის საფუძველზე, რადგან ქართულ-აფხაზური ომის დასრულების შემდეგ ისინი დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე რჩებოდნენ და მისი მოქალაქეობა მიიღეს“.

მოქმედი კანონის თანახმად, „აფხაზეთში დაბრუნებულმა პირებმა მოქალაქეობის აღდგენის და გაფორმების პროცედურები უნდა გაიარონ, ადრინდელ მოქალაქეობაზე უარის თქმის ჩათვლით, შესაბამისი დოკუმენტური დადასტურებით, ანდა ბინადრობის გაფორმების უფლება უნდა მიიღოს“.

ოპოზიციური პარტია „საკანონმდებლო პროცედურების დარღვევით აფხაზური პასპორტების მასობრივად გაცემის წინააღმდეგ გამოვიდა და პრეზიდენტისგან და პარლამენტისგან „პასპორტების უკანონოდ გაცემის პროცესის გაჩერება“ მოითხოვა. პარტია ასევე მოქალაქეობის მინიჭების და პასპორტების გაცემის პროცესის შეფასებას მოითხოვს. წაყენებული მოთხოვნების იგნორირების შემთხვევაში, პარტია ხალხისთვის პირდაპირი მიმართვის და მასობრივი საპროტესტო აქციების ჩატარების უფლებას იტოვებს.

შეგახსენებთ, რომ გალის რაიონის მოსახლეობისთვის აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი პარლამენტში განხილვის თემა ბევრჯერ გამხდარა. ოპოზიცია არაერთხელ მიუთითებდა, რომ „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონი“, გალის რაიონის მცხოვრებთა მოქალაქეობის დადგენისთვის დაუზუსტებელ იურიდიულ კრიტერიუმებს შეიცავდა.

აფხაზეთის პარლამენტმა უკვე განიხილა საკითხი, რომელიც გალის, ტყვარჩელის და ოჩამჩირის რაიონებში პასპორტების გაცემის კანონიერებას ეხება. დეპუტატებმა შექმნეს კომისია, რომელშიც 7 კაცი შევიდა: ასლან კობახია (თავმჯდომარე), ბესლან ბარციცი, აპოლონ გურგულია, ლეონიდ ჩანაგუა, დმიტრი გუნბა, ახრა ფაჩულია, ახრა ბჟანია.

„ამ კომისიის მუშაობის შედეგები გახდება საფუძველი შემდეგი დასკვნებისთვის, გადაწყვეტილებების მიღებისთვის, რაც ჩვენს სახელმწიფოებრიობას განამტკიცებს“, – აცხადებს ოპოზიციონერი დეპუტატი რაულ ხაჯინბა.

კომისიამ ორი თვის განმავლობაში საკუთარი გამოძიება უნდა ჩაატაროს და პარლამენტს შედეგები გააცნოს.

„პოლიტიკურ მოღვაწობაში არმონაწილე ადამიანებს ეჩვენებათ, რომ ჩვენ გალის რაიონის მცხოვრებთა წინააღმდეგ ვართ და ეს უაღრესად არასწორი შეფასებაა; გპირდებით, რომ კომისია ყველა ამოცანის გადაწყვეტას ობიექტურად მიუდგება, რაც პარლამენტმა დაგვისახა. გარწმუნებთ, რომ ჩვენ ღიად, ობიექტურად ჩავატარებთ გამოძიებას“, – განაცხადა პარლამენტის სესიაზე კომისიის ხელმძღვანელმა ასლან კობახიამ.

აფხაზეთის მოქალაქეობის მიღებისთვის დოკუმენტების ჩამონათვალში, აღმოსავლთ რაიონების მცხოვრებთათვის საქართველოს მოქალაქეობაზე წერილობითი უარი შედის. როგორც აფხაზეთის შსს-ს წარმომადგენელმა განაცხადა, გამორიცხვა არ შეიძლება, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე წერილობითი უარის შემდეგ, ვიღაც ისევ რჩებოდეს საქართველოს მოქალაქედ, მაგრამ აფხაზურ ხელისუფლებას ამის დადასტურება არ აქვს.

უშიშროების საბჭოს მდივნის, სტანისლავ ლაკობას მონაცემებით, აღმოსავლეთ აფხაზეთში „არსებული მონაცემებით, 2008 წლიდან 2013 წლამდე 25 ათასი აფხაზური პასპორტი გაიცა“.

„პრაქტიკულად, გალის რაიონის ყველა მცხოვრები (ძველ საზღვრებში) საქართველოს მოქალაქეა, რომელთანაც აფხაზეთს ორმაგი მოქალაქეობა გათვალისწინებული არ აქვს. აღმოსავლეთ აფხაზეთის ბევრი მცხოვრები საქართველოში დევნილთა სიებში ირიცხება, იღებენ ჰუმანიტარულ დახმარებას, იქ უფასო სამედიცინო მომსახურებით სარგებლობენ და ა.შ. უფრო მეტიც, აფხაზეთი ჯერ კიდევ ომის მდგომარეობაშია საქართველოსთან, რომელთანაც სამხედრო მოქმედების განუახლებლობის შეთანხმება გაფორმებული არ გვაქვს“, – აცხადებს სტანისლავ ლაკობა.

ამასთან, უშიშროების საბჭოს მდივანი თვლის, რომ ბევრ შემთხვევაში რაიონის მოსახლეობაზე აფხაზეთის პასპორტები უკანონოდ გაიცემოდა.

აფხაზეთის მოსახლეობის 2011 წლის აღწერის მონაცემებით, რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობა 240 705 ადამიანს შეადგენს. სახელწიფო სტატისტიკის მონაცემებით, აფხაზეთში სულ 91 ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. ყველაზე მრავალრიცხოვანნი აფხაზები არიან – 122 069 ადამიანი (50,71%), რუსები – 22 077 ადამიანი (9,17%), სომხები – 41 864 ადამიანი (17,39%), ქართველები – 43 166(17,93%), მეგრელები – 3 201 ადამიანი (1,33%). აფხაზეთში ასევე ცხოვრობს 1380 ბერძენი. გამოკითხვისას ეროვნულ კუთვნილებას თავად გამოკითხულები მიუთითებდნენ.

სტანისლავ ლაკობა ასევე ეყრდნობა „აფხაზეთის მოქალაქეობის“ კანონის ნორმას, რომლის თანახმად მოქალაქეობის მიღებისთვის აუცილებელია 1994-დან 1999 წლამდე აფხაზეთში ცხოვრება. „გალის რაიონში ეს არ ყოფილა“, – აცხადებს ლაკობა და განმარტავს, რომ 1998 წლის ომის შედეგად ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აფხაზეთის ტერიტორია დატოვეს.

პრობლემას ქმნის საზღვარგარეთის პასპორტების მიღება მათ მიერ, ვისაც უშიშროების საბჭოს მდივნის შეასებით, ამის უფლება არ აქვს.

„10 586-მა ადამიანმა (გალის რაიონში) აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა მიიღო, რითაც შეიძლება მდინარე ფსოუზე სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა და 90 დღის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ყოფნა. ამ ადამიანებს შორის არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც გალის რაიონში არ ცხოვრობენ, მაგრამ ფაქტობრივად ვიზების გარეშე ხვდებიან რუსეთში. აღნიშნული კატეგორია, განსაკუთრებით სოჭის ოლიმპიდის წინ, შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს რუსეთის ნაციონალური უსაფრთხოებისთვის“, – თვლის ლაკობა.

სტანისლავ ლაკობას აზრით, თუ აფხაზური პასპორტების მასობრივი გაცემა არ შეჩერდება, „უახლოეს პერსპექტივაში აფხაზები კვლავ უმცირესობაში აღმოჩნდებიან და უდარდელობის გამო საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტს ვერ აირჩევენ“.

ოფიციალური თბილისი აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად მიიჩნევს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ჯონ კერიმ და სერგეი ლავროვმა სირიის კონფერენცია განიხილეს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა სირიის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების მიზნით საერთაშორისო კონფერენციის მოსამზადებელი პროცესი განიხილეს.

ჯონ კერი და სერგეი ლავროვი ერთმანეთს პარიზში შეხვდნენ. მოგვიანებით შეხვედრას საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორან ფაბიუსი შეუერთდა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოთხოვნით, შეხვედრამ ჟურნალისტების გარეშე ჩაიარა. მიმდინარე წელს შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყებებს შორის ეს უკვე რიგით მეექვსე შეხვედრა იყო.

შეგახსენებთ, რომ სირიაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე კონფლიქტის დარეგულირებისა და სამშვიდობო პროცესის დაწყების მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე შეთანხმდნენ. თავის მხრივ, სირიის ხელისუფლება მზადაა ჟენევაში დაგეგმილ სამშვიდობო საერთაშორისო კონფენერციაში მიიღოს მონაწილეობა. ამის შესახებ ინფორმაციას ბი-ბი-სი სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვალიდ მუამედის მიერ ბაღდადში ვიზიტისას გაკეთებულ განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს. მინისტრის თქმით, საერთაშორისო კონფერენცია საუკეთესო გზაა შექმნილი სიტუაციის განსამუხტად და კონფლიქტის პოლიტიკური გზით გადასაჭრელად. ეს არის სირიის ხელისუფლების პირველი საჯარო განცხადება, რომელშიც გამოხატულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის მიერ შემოთავაზებულ კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი.

სირიის ოპოზიციის ძირითადი ძალები ამჟამად სტამბულში მართავენ მოლაპარაკებებს, რომელთა მთავარ მიზანს ჟენევის კონფერენციისთვის მიდგომების შემუშავება წარმოადგენს. თუმცა, სირიის ოპოზიციურმა ეროვნულმა საბჭომ უკვე განაცხადა, რომ კონფერენციაში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს თუ მოქმედი პრეზიდენტი ბაშარ ასადი პოსტს დატოვებს.

ამ ფონზე, ერაყელი შიიტები, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ, აქტიურად ერთვებიან მეზობელ სირიაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებაში. მოხალისეები ბაშარ ასადისა და მოქმედი ხელისუფლების სასარგებლოდ იბრძვიან. ამის შესახებ ამერიკული გაზეთის „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტთან საუბრისას, რადიკალური შიიტური დაჯგუფების „ასაიბ აჰლი ალ ჰაკის“ საველე მეთაურმა განაცხადა. აბუ საჯალას თქმით, ერაყელი შიიტები სირიაში ჩადიან ირანის გავლით, საიდანაც დამასკოს მიმართულებით დღემდე რეგულარულად დაფრინავენ თვითმფრინავები. სირიის ხელისუფლება ადგილზე უზრუნველყოფს შიიტებს სახელმწიფო გვარდიის ფორმით, ამუნიციითა და ყველა საჭირო აღჭურვილობით. აბუ საჯალა მოხალისეებს ახასიათებს როგორც გამოცდილ მეომრებს, რომლებსაც შეუძლიათ სპეცდანიშნულების რაზმის ფუნქციის შესრულება და განსაკუთრებით რთული ამოცანების გადაჭრა. „ასაიბ აჰლი ალ ჰაკის“ საველე მეთაურის თქმით, სირიის სახელისუფლო გვარდია უმეტესად მხდალი მეომრებითაა დაკომპლექტებული და ამიტომ ბაშარ ასადი ვერ აღწევდა სერიოზულ წარმატებებს ოპოზიციასთან დაპირისპირებისას შიიტი მოხალისეების კონფლიქტში ჩართვამდე. ერაყელმა შიიტებმა უკვე მიიღეს მონაწილეობა ბრძოლებში ალეპოსთან, პროვინცია ჰომსთან და ბაღდადის მიმდებარედ. შეგახსენებთ, რომ ბაშარ ასადის რეჟიმის სასარგებლოდ კონფლიქტში აქტიურად მონაწილეობს ასევე ლიბანური რადიკალური ბოევიკური დაჯგუფება „ჰეზბოლა“. გარდა ამისა, სირიის ტერიტორიაზე რიგ სპეცოპერაციებს ისრაელის სპეცრაზმიც ახორციელებს. გავრცელებული ინფორმაციით, ებრაელები საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ და მჭიდრო კონტაქტში არიან ადგილობრივ ვიწრო ჯგუფთან, რომელიც არც სირიის ხელისუფლებას ემხრობა და არც ოპოზიციას.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ავსტრალია ყველაზე „ბედნიერ“ ქვეყნად დასახელდა

განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში ავსტრალია ყველაზე „ბედნიერ“ ქვეყნად დასახელდა. ეკონომიკის სიძლიერის მიხედვით, ავსტრალია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევაში პირველ ადგილზე აღმოჩნდა. ხუთეულში ასევე შევიდნენ: შვედეთი, კანადა, ნორვეგია და შვეიცარია. კვლევა 30 ქვეყანაში ჩატარდა და ისეთი კრიტერიუმები იყო გათვალისწინებული როგორიც არის შემოსავლის დონე, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება. ავსტრალიის 23 მილიონიანი მოსახლეობის 73% დასაქმებულია და მათი ხელფასი ორგანიზაციის მიერ დადგენილ საშუალო ხელფასის მაჩვენებელს აღემატება. ქვეყანაში ასევე მაღალია სიცოცხლის ხანგრძლივობაც, თითქმის 82 წელი. ავსტრალია განვითარებული ქვეყანაა, აყვავებული კოსმოპოლიტური საზოგადოებითა და გამორჩეულად მაღალი განვითარების იდექსით, ცხოვრების ხარისხით, სრულფასოვანი ჯანდაცვის სისტემით, საყოველთაო საზოგადო განათლებით, ეკონომიკური და პოლიტიკური და სიტყვის თავისუფლებით. ავსტრალიის ქალაქები მსოფლიოს უდიდესი ქალაქების რიგს მიეკუთვნება კულტურული მრავალფეროვნებითა და ცხოვრების ხარისხით.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

2013 წლის 6 მარტს **აჩიკო ფავლენიშვილს** 60 წელი შეუსრულდა. ხალისიანად აღნიშნა ეს თარიღი ახლობლების და მეგობრების წრეში. ცოტა რამ კიდევ დამრჩა გასაკეთებელი და მერე დავისვენებო – თქვა. ვერ მოასწრო.

ბავშვობიდან გამორჩეული იყო, მრავალი ნიჭით დაჯილდოებული. სწავლობდა სკოლაში, შემდეგ წარმატებით დაამთავრა მუსიკალური ტექნიკუმი. ფორტეპიანოს მაღალპროფესიულ დონეზე ფლობდა, კარგად უკრავდა გიტარაზე, მღეროდა და ხატავდა. ბუნებით ლიდერი, ყველა თავყრილობის სული და გული იყო. მათემატიკური აზროვნების და ანალიტიკური გონების პატრონი იყო, გატაცებული და შრომისმოყვარე. ძველი წარჩინებული საგვარეულოს ჩამომავალს, გული მაინც სიძველეებისაკენ მიუწევდა. პროფესიად ისტორიული ძეგლების რესტავრაცია აირჩია. იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტორ-რესტავრატორთა პირველ გამოშვებას ეკუთვნოდა. ძველი ხუროთმოძღვრების ღრმა ცოდნით და არაჩვეულებრივი აღლოთი ბევრ ნაგებობას დაუბრუნა სიცოცხლე თბილისსა და მთელ საქართველოში. დიდხანს მუშაობდა ძეგლთა დაცვის სამმართველოში, შემდეგ საკუთარი საპროექტო დააარსა და თავისი თანაკურსელების, პროფესიონალი რესტავრატორების ჯგუფი შემოიკრიბა გარშემო, ფართო პროფესიული დიაპაზონის სპეციალისტი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრადაც აირჩიეს.

მოსიყვარულე გული ჰქონდა, რომელშიც ადვილად თავსდებოდა უზომო სიყვარული თავისი შვილებისა და შვილიშვილების, და-ძმის, ყველა ახლობლისა და მეგობრისა. ყველას გამკითხავი და მხარში ამომდგომი იყო. უკურნებელმა სენმა საყვარელი მეუღლე გამოაცალა ხელიდან. მის სიყვარულს ფარულად ატარებდა სიცოცხლის ბოლო წუთამდე. სიდედრს და ცოლისდას დედად და დად მიიჩნევდა, თავს ევლებოდა და მათ ხელშივე დალია სული. სატკივარს თავს არავის ახვევდა, მუდამ მხიარული და ხალისიანი, ყველასათვის სასურველი სტუმარიც იყო და მასპინძელიც.

დილას სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა და უცებ გაქრა. კიდევ ერთი „შაშვი მგალობელი“ მოსწყდა ამ ცოდვილ მიწას და დატოვა უნუგეშო ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები, კოლეგები.

გაანათლოს მისი სული უფალმა ზეციურ საქართველოში.

მეგობრებისა და კოლეგების ჯგუფი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი 29 მაისი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** „ჩვენი დილა“ (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00** „მოამბე“ **11.00** „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) **12.45** „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** „დღეს ორის ნახვარზე“ **15.00** ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი“ **17.00** დ/ფ „პლანეტა დედამიწის სიღრმეში“ **18.00** „პეპე და მეგობრები“ **19.05** ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება“ **21.00** ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი“ **22.00** „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ **23.00** მხ/ფ „ტკბილი ნოემბერი“ (კ.რივზი) **01.20** ანიმ.ფ. მხ/ფ „ბონუბის დაბინდვა“(ტიტ.)(კ.რივზი)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე) **09.00** „თავისუფალი ტრიბუნა“ **10.00, 20.00** „ბრიფინგის დრო“ **11.00** „არგუმენტების დრო“ (სამშ. გ/ჩვ) **12.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** „თავისუფალი ტრიბუნა“ **00.00** „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. „დაუვიწყარი“ **11.20** სერ. „მაფიის ძვრივი“ **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. „დამალული სიმართლე“ **17.50** სერ. „მაგნატები“ **18.50** სერ. „აკრძალული სიყვარული“ **21.00** სერ. „მარტოსული“ **22.00** ფუტთან თამაში **23.00** მხ/ფ „ადრენალინი 2“ (ე.სმარტი) **01.15** მხ/ფ „რიდიკის თავგადასავალი“ (ჯ.დენჩი) **03.15** მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. „სიყვარული მშვენიერია“ **11.00** სერ. „იდუმალი ქალი“ **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** „შუა დღე“ **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. „ვნების უფსკრული“ **18.45** სერ. „ცრემლების გვირგვინი“ **20.05** სერ „ერთგულების ძალა“ **22.00** ნანუკას შოუ. **23.30** სერ. „ბრიგი“ **00.30** კინოფიშა. **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.30** მხ/ფ „ბერნარდა ალბას სახლი“ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი“ **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.20** ჩვენი ბიბლიოთეკა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ „ველური ბუნება“ **16.00** ჩვენი ბიბლიოთეკა **16.30** დოკ/ფ „განვლილი წლები“ - ვლადიმერ ასათიანი **16.55** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** მხ/ფ „თუში მეცხვარე“ I სერ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ „ხიდი“ **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ „საბრალონი“ I სერ.

მაესტრო 7.00, 1.00, 4.30, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00, 14.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50** თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“ (გამ.) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** კვირის აბები (გამ.) **17.00** ჩემი ქორწილი (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 1.30** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ **19.00** სერიალი „სიყვარული და სასჯელი“ **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.30, 2.30** მაგთიფანი კონცერტი **23.30, 5.00** თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები“

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

29 მაისი

- აშშ დოლარი — 1,6351
- ევრო — 2,1168
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4744
- 100 რუსული რუბლი — 5,2235

ამინდის პროგნოზი 29 მაისისთვის

29 მაისიდან

ჟურნალ „სარკესთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 3

ბრაზილიური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

ტომი 2. ჩეხური ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

ბერა კახა კალაძეს უმღერებს

ეკა ირემაშვილი

ქართველი მოზარდების საყვარელი მომღერალი ბერა ივანიშვილი 31 მაისს დინამო არენაზე კახა კალაძეს უმღერებს. სიმღერებს მომღერალი ქართველი ფეხბურთელის გაცილების მატჩის დაწყებამდე შეასრულებს.

ეს არ იქნება დინამო არენაზე ბერას პირველი გამოსვლა, მან გასული წლის მიწურულს თბილისის დინამოს სტადიონზე პირველი სოლო კონცერტი ჩაატარა, სადაც ათასობით მისი შემოქმედების გულშემატკივარი მივიდა. ამავე დღეს მომღერალმა თავისი პირველი ალბომის „გპირდების“ პრეზენტაციაც მოაწყო. ამჯერად ბერა ფეხბურთის გულშემატკივრებს გააერთიანებს და კახა კალაძის გასაცილებელ მატჩზეც იმღერებს.

როგორც რეპერმა განაცხადა:

– ეს დღე გამორჩეული იქნება ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის. კახა კალაძე ყოველთვის იყო ჩემთვის სიამაყე. მან ძალიან ბევრი წარმატება გვაჩუქა და 31-ში კახას მადლობა უნდა გადავუხადოთ. 31 მაისისთვის მზადდება შოუ, რომელიც კახა კალაძის მატჩს გახსნის.

როგორც ცნობილი გახდა, კახა კალაძის ფეხბურთიდან გაცილების მატჩზე ბერა ივანიშვილი ორ ახალ სიმღერას იმღერებს და ორივე სიმღერის პრემიერა 31 მაისს გაიმართება.

– ნამდვილი ჩემპიონი არ ითვლის მედლებს, გავაცილოთ კალა ისე, რომ შეშურდეს პელეს! 31-ში, დინამოზე გელოდებით ყველას!!!! – წერს ბერა ივანიშვილი სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“.

სოციალური ქსელით ახერხებს მომღერალი თავის ურიცხვ გულშემატკივრებთან შეხმიანებას და მათ სისტემატურად უკონტაქტები:

„არ მახსენდებით, მუდმივად მახსოვხართ“ – ასე წერს თავის ფანებს ბერა.

მომღერალი შემოქმედებაში არსებულ ახალ ამბებს პირველ რიგში თავის გულშემატკივრებს აცნობს.

– ჩემო საყვარელო გულშემატკივრებო! დიდი ხანია არ შეგხმიანებივართ, ძალიან მომენატრეთ და მინდა გულწრფელი სიყვარულით ყველანი მოგიკითხოთ, „მინდა, რომ 2013 წელს იამაყოთ თქვენი ქართველი ძმით. ორწლიანი პაუზის შემდეგ, ვუბრუნდები საერთაშორისო პროექტს, ახალი შემართებით და მეტი გამოცდილებით. გპირდებით ძალიან ბევრ გამორჩეულ სიურპრიზს! 2013 ჩვენი დროა!!!!!!!“, – წერს ბერა.

მან თავის მსმენელს ახალი სიმღერაც შესთავაზა, რომელსაც „ერთ დღეს“ ჰქვია და მისი შეფასება მსმენელს მიანდო, თუმცა წლის პირველი პრემიერა სიმღერით „ვერ პოულობ სიტყვებს“ შედგა.

– ბედნიერი ვიქნები, თუ ამ სიმღერის მოსმენისას თქვენც იპოვით სიტყვებს და ეტყვით მშობლებს, როგორ გიყვართ ისინი... თუ შენც გრძნობ, რასაც ვგრძნობ, გააზიარე! – მოუწოდებს ბერა თავის გულშემატკივრებს.

სანდრა რულოვსმა მემორანდუმი გააფორმა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში საქართველოს პირველმა ლედიმ რადიო „მუზას“ დამფუძნებელმა სანდრა ელისაბედ რულოვსმა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის თანახმადაც, რადიო „მუზას“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ რადიო „მუზას“ გენერალური მენეჯერი შორენა კოპალეიშვილი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი.

მემორანდუმი ოფიციალური დოკუმენტია, რომელშიც წერია: „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, (შემდგომში სამინისტრო) რომელსაც წარმოადგენს მინისტრი მირიანე ოდიშარია და ა(ა)იპ კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაცია, (შემდგომში ასოციაცია) რომელსაც წარმოადგენს დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე სანდრა ელისაბედ რულოვსი, ვადასტურებთ რა რადიო „მუზას“ მნიშვნელობას კლასიკური, ქართული ტრადიციული და სასულიერო მუსიკის განვითარებაში, გამოვთქვამთ მზადყოფნას ურთიერთთანამშრომლობით ხელი შევუწყოთ რადიო „მუზას“ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებას და შემდგომ ფუნქციონირებას“.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, რადიო „მუზა“ არის პირველი და ამჟამად ერთადერთი რადიოსადგური საქართველოში, რომელიც 24 საათის განმავლობაში, კლასიკურ მუსიკას გადასცემს. რადიო „მუზა“ 2007 წლიდან, საქართველოს პირველი ლედის სანდრა ელისაბედ რულოვსის ინიციატივით, საქართველოს ათ რეგიონში მაუწყებლობს, რითაც საქართველოს მოსახლეობის 80%-ს აძლევს საშუალებას მოუსმინოს კლასიკურ, ქართულ ტრადიციულ და სასულიერო მუსიკას. ასევე რადიო „მუზას“ მოსმენა შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებითაც.

– „მუზა“ დავაარსე 6 წლის წინ და გზაზე დავაყენე, როგორც 6 წლის ბავშვი, რომელიც სკოლაში მიდის. როდესაც შეიცვალა მთავრობა, მივმართეთ კულტურის სამინისტროს და ვთხოვეთ, არა მხოლოდ ჩვენ, როგორც „მუზამ“, არამედ 100-ზე მეტმა მუსკოსმა და კულტურის დარგის მოღვაწემ, რომ რადიო „მუზა“ გადარჩეს. როგორც იცით, ჩვენ მთელ ტერიტორიაზე გვაქვს გადაცემები, ევროპაში გადის გადაცემები და კონცერტები, რომლებსაც ჩვენ თვითონ ვწერთ, ინტერნეტის მეშვეობით მთელ მსოფლიოში. ჩვენ შევთანხმდით სამინისტროსთან, რომ რადიომ სტატუსი რომ შეიცვალოს და მიიღოს დაფინანსება, ეს არის კარგი ამბავი, რომ მას ექნება მისი მუდმივი და სტაბილური მომავალი. შესაბამისად, იქნება, როგორც მაგალითად, ოპერა, კონსერვატორია, ორკესტრები, ასეთი სტატუსი ექნება რადიო „მუზას“, ჩვენ ხელი მოვაწერეთ მემორანდუმს, რადგან ამით შენარჩუნდება რადიოს სტატუსი, სახელი, პროფილი, ჩვენ კომპოზიტორებს ვუხდით ჰონორარს, როცა მათ ნამუშევრებს ვუშვებთ ეთერში, რომ ეს ჩანაწერები დარჩეს და მთელ ტერიტორიაზე გავრცელდეს, დანარჩენი ყველაფერი უნდა შენარჩუნდეს. ეს იქნება როგორც სკრინინგ ცენტრი,ერთ-ერთი დანამატი კულტურულ სამყაროში. ვამაყობ, რომ აქამდე მოვივყანე და იმედი ვგაქვს, რომ რადიო „მუზას“ მუშაობა მომავალშიც კარგად გაგრძელდება. რადიოს ბევრი მსმენელი ჰყავს და არ აპატიებენ ნამდვილად თუ „მუზა“ შეიცვლება. მას ასეთი ხარისხი და ასეთი თვისებები უნდა ჰქონდეს, არც პირველი ექვსი წელი ჰქონდა, – განაცხადა პირველმა ლედიმ.

2010 წელს რადიო „მუზა“ ევროპის მაუწყებელთა კავშირის ასოცირებული წევრი გახდა. იგი აცნობს ქართულ აუდიტორიას მსოფლიო კლასიკური მუსიკის სიახლეებს, ასევე აწვდის ინფორმაციას საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მუსიკოსების შესახებ. ხოლო მსოფლიო „მუზას“ საშუალებით და მის მიერ განხორციელებული საკონცერტო ჩანაწერებით, იღებს ინფორმაციას ქართული მუსიკისა და ქართველი შემსრულებლების, ასევე საქართველოში მიმდინარე ფესტივალებისა და ღონისძიებების შესახებ. რადიო „მუზა“ დაარსების დღიდან წარმოადგენს სანიმუშო მაგალითს საავტორო უფლებების დაცვის სფეროში.

რადიო „მუზას“, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მინიჭებული სტატუსით, შესაძლებლობება ეძლევა მეტი პოპულარიზაცია გაუწიოს ქართულ კულტურას როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ეს სტატუსი მეტ მდგრადობასა და სტაბილურობას შესძენს მას.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ყველამ გაითვალისწინეთ!

ასტროპროგნოზი 29 მაისისთვის

წარმატებული დღეა

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემასაც მოევლება. **ჯარო** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** – იყავით უფრო ყურადღებიანი, თქვენი პარტნიორის მოთმინების ფიალა აივსო. **ლომი** – თავს კარგად გძნობთ, სხვებს მაგალითს აძლევთ. **ქალწული** – შრომა დაგიფასდებათ, დაჯილდოვდებით. **სასწორი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** – დიდძალი ქონების პატრონი გახდებით. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე გაამართლებს, მთავარია მოინდომოთ. **თხის რქა** – ფული გაქვთ, საყიდლებზე წასვლა გახალისებთ. **მერწყული** – პატარა პრობლემას ადვილად მოევლება, თუ ახლობლებს დაუჯერებთ. **თევზები** – ნუ გაეჯიბრებით სხვებს, თავს მიხედეთ და ყველაფერი კარგად იქნება.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↓

შვეულად: 1. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 2. გარდაუვალი ბედი, ბედისწერა; 3. ფულის ერთეული ჩინეთში; 5. გემბანის წინა ნაწილი; 6. კუთხე საქართველოში; 8. პირველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში; 11. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდი; 14. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 15. შექსპირის ტრაგედია. 19. ბრიტანული ლუდხანა.

თარაზულად: 1. უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 4. ნარკოტიკის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 7. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 9. მდგომარეობა კრივში; 10. კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქი; 12. მიწის სათხრელი მანქანა; 16. სადავო საკითხის საჯარო განხილვა, კამათი; 17. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 18. ცნობილი დანიელი კარიკატურისტი; 20. ძველებური, სახელურიანი, დასაკეცი სათვალე; 21. ერთგულების მტკიცე პირობა; 22. საწყალოსნო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



საქართველო ყაზახეთს გაეჯიბრება

14 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ნაკრები მორიგ ამხანაგურ შეხვედრას ყაზახეთის ეროვნულ გუნდთან გამართავს. მატჩი ქალაქ ასტანაში გაიმართება. როგორც ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, მატჩის გამართვის თაობაზე ქართულ მხარესთან შეთანხმება უკვე მიღწეულია.

ჯერჯერობით ეს ინფორმაცია არ გაუღერებულა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ.

მანამდე თემურ ქეცბაიას გუნდი ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს: 2 ივნისს ჩვენები დუბლინში ირლანდიის ნაკრებს გაეჯიბრება, ხოლო 5 ივნისს ასევე სტუმრად უკვე დანიელებს დაუპირისპირდებიან.

ქეცბაიამ გუნდის შეკრება უკვე დაიწყო და ერთი დანაკლისიც აქვს – „ჯვაროსნებს“ ვერ დაეხმარება ლევან მჭედლიძე, რომლის „ემპოლისაც“ ერთი ნაბიჯი აკლია სერია ა-ში გადასვლამდე. საამისოდ ემპოლელებმა „ლივორნოს“ უნდა სძლიონ ორი შეხვედრის ჯამში: პირველი თამაში 29 მაისს ემპოლიში გაიმართება, საპასუხო – 2 ივნისს ლივორნოში.

სწორედ ამიტომ, ლევანი საქართველოს ნაკრების შეკრებაზე ვერ ჩამოვიდა: წინ გადამწყვეტი თამაშები ელის იტალიაში.

ქეცბაიამ გუშინ მოგვიანებით პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

მ. ჯ.